კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ლევან ჯანგველაძე

ლიზინგის ხელშეკრულების მოწესრიგების თავისებურებები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადეიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან დუნდუა
ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი
2019 წ

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტულურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

ლევან ჯანგველაძე ---------- 27/ 06 / 2019

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენით დინამიკურად ხორციელდება ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, იცვლება სამეწარმეო საქმიანობის პირობები და ფორმები. ეკონომიკური სუბიექტები აქტიურად იყენებენ სამეწარმეო საქმიანობის ისეთ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა მსხვილი ერთდროული დანახარჯების გარეშე განხორციელდეს საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია. სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ასეთ მეთოდს მიეკუთვნება ლიზინგი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სალიზინგო ურთიერთობებით სარგებლობა ჯერ კიდევ ბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პერიოდში იყო შესაძლებელი, მაგრამ ეს არ იყო ლიზინგის უპირატესი მხარეების გამოყენება. დღეისათვის ქვეყანაში არსებობს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“,თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზა ამ მიმართულებით საჭიროებს მნიშვნელოვან დახვეწას, გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც წამყვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი. ნაშრომის კვლევის მიზანია, საქართველოში ლიზინგის განვითარების შესაძლებლობათა გამოკვლევა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავება. ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად, დაისვა შემდეგი ამოცანები:

1. ლიზინგის განვითარების ისტორიის შესწავლა;
2. ლიზინგის საზღვარგარეთ განვითარების დახასიათება;
3. ლიზინგის რეგულირების მექანიზმის განხილვა-ანალიზი;
4. სალიზინგო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მისი სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფის წინადადებების შემუშავება.

წარმოდგენილ თემაში გამოკვლეულია ლიზინგის წარმატება ყველა კონტინენტზე, რასაც ხელს უწყობს მისი განსაკუთრობულობა და სახელმწიფო მხარდაჭერა. შემთხვევითი არაა, რომ კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ლიზინგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ფუნქციონირებს რამდენიმე ათასი სალიზინგო კომპანია, მათი მოქმედება განსხვავდება მიმართულების, სალიზინგო ოპერაციათა მოცულობის, პოტენციალის, რეგიონული განლაგების და სხვა ფაქტორების მიხედვით.

annotation

Under the economic and economic progress of the market economy, dynamically implementation of economic relations, changing conditions and forms of entrepreneurial activity. Economic subjects are actively using methods of entrepreneurial activities that enable the modernization of the material-technical base of enterprises without any large expenses. Entrepreneurial activity is one of such methods include leasing.

It should be noted that the use of leasing relations in Georgia was still possible during the decree-administrative economy, but it was not the use of priority leasing. Today there is a law on "Promotion of Leasing Activities", though it should be noted that the legislative base needs significant improvement in this regard, should be considered as the experience of leading market economics countries, as well as the economic development of the country. The purpose of the research is to study leverage development opportunities in Georgia and develop its efficiency measures. In order to achieve the goal set out in the work, the following tasks were awarded:

1. Study of leasing development history;
2. Characterization of leasing abroad;
3. Review and analysis of leasing regulatory mechanism;
4. Development of proposals for improvement of its legal mechanism in order to increase efficiency of leasing activities.

In the presented topic, The success of the leasing is examined on every contingent, contributing to its specialty and state support. It is no coincidence that leasing holds an important place on the world capital market. In the modern stage, several thousand leasing companies are operating in the world, their performance is different from the direction, leasing capacity, potential, regional deployment, and other factors.

სარჩევი

შესავალი----------5

თავი I. ლიზინგის არსი, მნიშვნელობა და სახეები----------8

1.1. ლიზინგის არსი და მნიშვნელობა----------8

1.2. ლიზინგის სახეები----------20

თავი II სალიზინგო ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების

მოკლე ისტორიული მიმოხილვა----------30

2.1. სალიზინგო ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების

მოკლე ისტორიული მიმოხილვა----------30

2.2. საქართველოში არსებული სალიზინგო ურთიერთობების

განვითარება მსოფლიო გამოცდილების ფონზე----------38

თავი III. საქართველოსა და უცხო ქვეყნებში მოქმედი სამართლის ნორმები----------42

3.1. ლიზინგის განმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით----------42

3.2. საქართველოსა და უცხო ქვეყნებში მოქმედი სამართლის ნორმები ლიზინგის ხელშეკრულებასთან მიმართებაში----------57

დასკვნები და რეკომენდაციები----------65

გამოყენებული ლიტერატურა----------69

შესავალი

მოცემული თემის შერჩევა მოხდა ხემძხვანელთან შეთანხმებით და კონსულტაციით. თემა შერჩა მისი აქტუალურობიდან გამომდინარე ლიზინგი არის ისეთი ხელშეკრულება რომელსაც თითქმის ყველა ქვეყანა იყენებს და მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისათვის რადგან მსოფლიოში არსებული კომპანიების მიერ ყოველწლიურად აქტივების შესაძენად დახარჯული თანხების დიდი რაოდენობა სწორედ ლიზინგის ხელშეკრულებაზე მოდის. ლიზინგის ხელშეკრულება, როგორც ეკონომიკაში ფულადი სახსრების ინვესტიციების ახალი ფორმა, წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის 50_იან წლებში აშშ, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მეოცე საუკუნის შუა წლებში.

ლიზინგი „lease“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ქონების გადაცემას დროებით, განსაზღვრული ვადით. ლიზინგი ფინანსური ინსტიტუტია. მისი სამართლებრივი მოწესრიგება სხვადასხვა სფეროს მოიცავს. კერძოდ, ლიზინგის საკანონმდებლო რეგულირებისას იმიჯნება მასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო, საგადასახადო თუ გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები. სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობების მოცულობა და ურთიერთმიმართება; ლიზინგის ხელშეკრულების არსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები; ასევე ლიზინგის ხელშეკრულების მიზანი.

ქვეყნების უმეტესობა ლიზინგის ხელშეკრულებას განიხილავს როგორ იჯარის ერთ-ერთ ნაირსახეობას. უნდა აღიინიშნოს რომ კონტინენტურ სამართალში სალიზინგო ურთიერთობის მომწესრიგებელი ხელშეკრულებები აღინიშნება სხვადასხვა ტერმინებით, მაგ: ლიზინგი ზოგჯერ განიხილება როგორც „იჯარის კრედიტი“. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებუ-ლია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე.

ლიზინგის ხელშეკრულების ანალიზისას მნიშვნელოვანია ლიზინგის საერთაშორისო დოქტრინაში დამკვიდრებული პრინციპების გაცნობა ესენია 1988

წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია და 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონი.

ჩემი მიზანია შევისწავლო და განვიხილო ლიზინგის ინსტიტუტი, განვსაზღვრო რა სახის პრობლემასთან შეძლება წარმოიშვას ლიზინგის გამოყენების ხელშეკრულების დროს შეესაბამება თუ არა თნამედროვე სტანდარტებს ქართული კანონმდებლობა საჭიროებს თუ არა ის ცვლილებებს. მოვახდინო შედარება საქართველოში არსებული კანონმდებლობის სხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან. ამჟამად ლიზინგის ხელშეკრულება გამოიყენება თითქმის ყველა ქვეყანაში, ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური აქტები მიიღეს რომელიც აწესრიგებს ლიზინგის ურთიერთობას.

ზოგიერთ ქვეყანაში კი, სადაც არ არის სპეციალური საკანონმდებლო ნორმები, ლიზინგის შესახებ სპეციალური წესები დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით მაგ: გერმანიში.

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას, განვითარებასა და აღმავლობას მნიშვნელოვანი ინვესტიციები სჭირდება, რაც მისი მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია. ამ მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი სალიზინგო ურთიერთობების განვითარებაა.

მოცემული ნაშრომი ორიენტირებულია სხვადასხვა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით. ხსენებული საკითხების კვლევაზე, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შედარებაზე და საქართველოში ლიზინგის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებების ანალიზზე.

ასევე გათვალისწინებულია პირველადი და მეორადი მონაცემების დამუშავება, რაც გულისხმობს ჩატარებული კვლევების ანალიზს და გაცნობას.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის დიალექტიკურ-მეცნიერული, შედარებით-მეცნიერული და ფორმალურ-დოგმატური მეთოდები; ზოგად–სამეცნიერო, ასევე სპეციალური სამართლებრივი მეთოდები. ზოგად–სამეცნიერო მეთოდებიდან აღსანიშნავია ისტორიული კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით შესწავლილ იქნა სალიზინგო ურთიერთობების სამართლის აღმოცენების პირობები და ისტორიული განვითარების

თავისებურებანი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. ნაშრომი საინტერესო იქნება აკადემიური წრეებისათვის იმიტომ, რომ აღნიშნული ნაშრომის საფუძველზე გაადვილდება შემდგომი კვლევების ჩატარება.კონკრეტული სფეროსთვის კი საინტერესო იქნება იმით, რომ ისინი უფრო მეტად ინფორმირებულები იქნებიან თუ რა ფაქტორების გამო პოტენციური მომხმარებელი ამბობს უარს ლიზინგზე და მიმართავს დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს.

ნაშრომში გამოყენებული სამართლებრივი მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს: დოგმატური და ნორმატიული მეთოდი. კვლევის პროცესში უპირატესად გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი. განხორციელებულია კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი ძირითადად ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების გერმანიისა და საფრანგეთის საკანონმდებლო რეგულირებასთან.

თავი I. ლიზინგის არსი, მნიშვნელობა და სახეები

1.1. ლიზინგის არსი და მნიშვნელობა

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და საზოგადოებაში წამოჭრილი საკითხების დარეგულირება სახელშეკრულებო სამართლის მოქმედების გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, საზოგადოებრივი სტრუქტურის ევოლუციამ დღის წესრიგში დააყენა ახალი სახელშეკრულებო ნორმების ფორმირების აუცილებლობა.

ხელშეკრულების ფუნქციაა, რეგულირება გაუწიოს ადამიანთა ქცევას და გაზარდოს ამ ქცევის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა[1]. იგი ხშირად განიხილება, როგორც მხარეთა კერძო „კანონშემოქმედებითი“ საქმიანობა.[2] მისი თანამედროვე კონცეფცია მთლიანად ეხმიანება თავისუფალი ეკონომიკური გარემოს ფორმირების იდეას. აღნიშნულის დასტურად შეიძლება ლიზინგის ხელშეკრულება დავასახელოთ, რომელმაც განვითარების უმაღლეს საფეხურს აშშ-ში მიაღწია. ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ტერმინი ლიზინგი _ „Lease” ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ქონების გადაცემას დროებით, განსაზღვრული ვადით.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული ავტორები ლიზინგის წარმოშობის თარიღად სხვადასხვა წყაროებზე მითითებით არაერთგვაროვან დასკვნებს იძლევიან. აღნიშნული მოსაზრების არამართებულობა დაკავშირებულია ლიზინგის საგნის არასწორ გაგებასთან და მისი იჯარის ხელშეკრულებასთან გაიგივების გამო.

ეკონომისტები მის კვალს პოულობენ ჯერ კიდევ, ძველი შუმერების სახელმწიფოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში და ხამურაბის კანონებში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე, 1792-1750 წწ.). ასევე მიიჩნევენ, რომ იუსტინიანეს ინსტიტუციებში (483-465 წწ.) განხორციელდა იმ ნორმათა კოდიფიკაცია, რომელიც აწესრიგებდა სალიზინგო ურთიერთობებს.[3]

---

[1]Jorgensen St., Contract as form, Scandinavian Studies in Law, Vol.10, 1966, p. 99.

[2]Blum A. Brian., Contracts, examples and explanation, fourth edition, 2007, p.3

[3]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002, გვ. 502

მკვლევართა ნაწილი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ნივთის ფლობა მასზე საკუთრების უფლების გარეშე, ლიზინგის ხელშეკრულების პირველადი ჩანასახია. ამ თვალსაზრისით, სალიზინგო ურთიერთობები არა ახალი, არამედ ძველი სამართლებრივი ინსტიტუტია. კლასიკური ლიზინგი, როგორც ხელშეკრულების დამოუკიდებელი სახე, სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების შედეგად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა. იგი საქმიან სამეურნეო ბრუნვაში პირველად, 1877 წელს გამოიყენეს, როდესაც ამერიკულმა სატელეფონო კომპანია „ბელმა" დაიწყო ტელეფონის აპარატების გაცემა დროებით სარგებლობაში, გარკვეული საზღაურის ფასად[4]. კერძოსამართლებრივ ინსტი-ტუტად მისი ჩამოყალიბება ეკონომიკური საჭიროებებიდან გამომდინარეობდა, რამაც სხვადასხვა სახელშეკრულებო ელემენტების ბუნებრივი შერწყმის შედეგად, სრულიად ახალი ხელშეკრულების ფორმირებას შეუწყო ხელი. დღესდღეობით, საკმაოდ რთულია გადაჭრით იმის თქმა, არსებობს თუ არა ისეთი ქვეყანა, სადაც ლიზინგი ხელშეკრულების სახეს არ წარმოადგენს. იგი როგორც სამართლებრივი კატე- გორია განსხვავებული სახით არის ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში, თუმცა, ერთი რამ ცხადია _ განსხვავება ვლინდება ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ ფორმაში, ხოლო როგორც ეკონომიკური და სამართლებრივი კატეგორია აქტიურად იკავებს ადგილს მსოფლიოს დიდი თუ მცირე ბიზნესის განვითარებაში.

ლიზინგის ხელშეკრულება თავისი არსით საკმაოდ წააგავს სხვა ვალდებულებითსამართლებრივ ინსტიტუტებს.

სამოქალაქო კოდექსში, ამჟამად უკვე ძალადაკარგულ ნორმებში მითი-თებული იყო ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ ქირავნობის ხელშეკრულების წესების გამოყენების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნორმები არ შეეწინააღმდეგებოდნენ სსკ-ის 576-579-ე მუხლების მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ მთლიანად ვრცელდებოდა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის,

[4] ბერიშვილი ხ., საქართველოში ლიზინგის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ. 7.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომა-რეობაში გადაცემისა და მთელი პერიოდის განმავლობაში ნივთის მდგომარეობის შენარჩუნების ვალდებულება ნივთის ნაკლის გამო, საფასურის შემცირების მოთხოვნის ჩათვ- ლით. დღევანდელი რედაქციით, ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები აღარ გამოიყენება და იგი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დისკუსია ყველაზე მწვავედ მაინც იჯარისა და ლიზინგის ხელშეკრულების გაიგივებასთან დაკავშირებით გვხვდება. რა განაპირობებს ამ ორი ინსტიტუტის დაკავშირებას და რა არის მათი ძირითადი განმასხვავებელი ელემენტები? პირველ ეტაპზე, ალბათ მიზანშეწონილია, მის ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე საუბარი.

„იჯარა“ და „ლიზინგი“ თავისთავად განსხვავებული ვალდებულებით სამართლებრივი კატეგორიაა. ტერმინთა გაიგივების მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ლიზინგი, მარტო სამართლებრივი ინსტიტუტი არ არის და მის ფორმირებაზე მძლავრია ეკონომისტთა მოსაზრებების გავლენა. ქართულ საკანონონმდებლო სივრცეში იჯარა განმარტებულია, როგორც განსაზღვრული ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა ნაყოფისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობის მინიჭებით. ხელშეკრულების საგანი კი, ის ქონებაა, რაც არსებობდა და რაც მეიჯარის მიერ სპეციალური მიზნით არ ყოფილა შეძენილი. აღნიშნული განსხვავება წარმოაჩენს ლიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას, თუ ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწი-ნებული ობიექტის შეძენა სპეციალური დაკვეთით ხდება, იჯარის ხელშეკრულების დროს _ იგი არ არსებობს. მეიჯარე დროებით სარგებლობაში გასცემს იმ ქონებას, რაც მას ჰქონდა (საკუთრებაში ან შესაბამისი უფლების საფუძველზე ფლობდა მას) და რომლის დროებით სარგებლობაში გადაცემის სურვილიც აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში იჯარისა და ლიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად უფლება-მოვალეობათა სხვაგვარი განაწილება სახელდება, რომლის ძირითადი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ლიზინგის გამცემი გათავისუფლებულია მეიჯარის ზოგიერთი

ვალდებულებისაგან, როგორიცაა ლიზინგის საგნის კაპიტალური რემონტი, ქონების მოვლისა და ჯეროვან მდგომარეობაში ყოფნისათვის ხარჯების გადახდა[5]. ამასთან, განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობას ქმნის თვით შესყიდვის ოფციის არსებობა, ვინაიდან ტრადიციული იჯარა აღნიშნული სახის ვალდებულებას არ ითვალისწინებს, მაშინ, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთ თავისებურებას ქონების შესყიდვის უფლება წარმოადგენს. განსხვავებულია სუბიექტთა წრეც. ლიზინგი, როგორც მრავალმხრივი ხელშეკრულება, გარდა ლიზინგის გამცემისა და მიმღებისა, სალიზინგო ურთიერთობებში შესაძლოა ქონების მწარმოებელსაც აერთიანებდეს.

სალიზინგო საზღაურის მოცულობა აღემატება ლიზინგის გამცემის მოგებას, ხოლო პერიოდული გადასახდელის ოდენობა, წესი და ვადები ხელშეკრულებაში განისაზღვრება იმგვარად, რომ ლიზინგის გამცემის მიერ გაწეული ხარჯები ქონების შეძენასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელს აუნაზღაურდეს შეძლებისდაგვარად უმოკლედ ვადაში.[6] იგი, ასევე განიხილება, როგორც სპეციალიზებული ლიზინგური კომპანიების შუამავლობით ძირითად ფონდებში დაბანდების ფინანსირების სპეციალური ფორმა. შესაბამისად, გამოდის, რომ ლიზინგური კომპანია ფაქტობ-რივად „აფინანსებს“, „აკრედიტებს“ ლიზინგის მიმღებს, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ლიზინგი ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც „კრედიტ-იჯარა“.[7]

მიუხედავად არსებული მსგავსებისა, ტერმინოლოგიურმა გაიგივებამ პრაქტიკაში შესაძლოა უზუსტობები გამოიწვიოს. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ დასახელებული საფუძვლები მიგვითითებენ ლიზინგის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რაც გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ იგი დამოუკიდებლად, სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან გაიგივების გარეშე. საინტერესოა, ლიზინგის ხელშეკრულებისა და საბანკო კრედიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

---

[5]ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2000-4, გვ. 506.

[6] იქვე, გვ, 506.

[7] ჯანხოთელი შ., ლიზინგის წარმოშობა და განვითარების ისტორია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ჟურნ „ალმანახი“, 1998, ოქტომბერი, გვ. 48.

ნიშანი, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს არის მარტივი პროცედურები. თუ საბანკო კრედიტის გაცემის დროს, ბანკები სესხის გაცემისას ინტერესდებიან მსესხებლის საბანკო ისტორიით, ლიზინგით ქონების გაცემის დროს შეფასების საკითხი გაცილებით უფრო მარტივია. ამასთან, გასათვალისწინებელია უზრუნველყოფის გარანტიის არარსებობა. რადგან, ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი თვითონვე წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტიას. თუ, ლიზინგის მიმღები ვერ იხდის შეთანხმებულ თანხას, ლიზინგის გამცემს შეუძლია მისი გამოთხოვა. აღნიშნული უფლების საფუძველს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკუთრების უფლების შენარჩუნება ქმნის. საბანკო კრედიტი გაცილებით მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხასიათდება, ვიდრე ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადი. საბანკო კრედიტის დროს ობიექტია ფულადი თანხა და არა კონკრეტული საგანი. სხვადასხვა ობიექტთა გამოყენება ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით არის შესაძლებელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია, რომ ლიზინგი საშუალებას იძლევა ფლობდე ქონებას, მასზე საკუთრების უფლების გარეშე, დამატებითი უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების არარსებობით. ხოლო, ლიზინგის მიმღებს საშუალება აქვს ეფექტიანად გამოიყენოს და მართოს ფინანსური რესურსები.

სამეცნიერო დისკუსიის ფარგლებში ლიზინგის ხელშეკრულების მსგავსება განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებითაც ვლინდება. დასახელებული ინსტუტუტის საერთო ელემენტად თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდა შეიძლება დავასახელოთ, თუმცა, ერთი რამ ცხადია _ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი არსით საბოლოოდ, ქონების საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. მისი ერთადერთი მიზანი სწორედ საკუთრების უფლების გადაცემაა, ლიზინგის ხელშეკრულება კი, შეიძლება ქონების საკუთრებაში გადა-ცემით არც კი დასრულდეს.

<u>სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზების ფარგლები სალიზინგო ურთიერთობებში</u>

სახელშეკრულებო თავისუფლების ხედვა კონტინენტურ ევროპაში ხშირად გამოიხატება ფრაზით „სახელშეკრულებო ავტონომია“ ან „ნების თავისუფლება“. იგი სამოქალაქო სამართლის უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს, რომლის რეალიზების მასშტაბებზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკისა და კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფორმირება. ნების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარე დამოუკიდებლად წყვეტს უღირს თუ არა ნების გამოვლენა, ხოლო ის, თუ რა თანაფარდობა იქნება შესრულებას შორის, ეს შეთანხმების საგანია.

სამოქალაქო სამართალურთიერთობა წარმოუდგენელია ურთიერთობის მონაწილე პირთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის გარეშე. ზოგიერთი სახის ვალდებულებები კი, იმდენად ფუნდამენტურია თავისი არსით, რომ მისი გათვალისწინება საზოგადოებრივი პოლიტიკის სწორად ფორმირებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მათი იმპერატიულობა განაპირობებს სახელშეკრულებო სამართალურთიერთობის მონაწილე პირთა „შებოჭვას“ რეალური მიზნები მოაქციონ იმპერატიული ნორმების ფარგლებში. თანამედროვე სამართალში ხელშეკრულებათა თავისუფლად დადებისა და შინაარსის განსაზღვრის საკმაოდ ძველი პრინციპი ერთგვარ მოდიფიკაციას განიცდის. ვაჭრობის სფეროში მხარეთა უთანასწორობა იმთავითვე ცხადია, თუმცა საინტერესოა, რა ფუნქცია უნდა დაეკისროს ამ დროს კანონმდებელს, სამოქალაქო ბრუნვის გართულების პირობებში, როგორ უნდა მოხდეს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების შენარჩუნება ზედმეტი სახელმწიფოებრივი ჩარევის გარეშე. პრაქტიკული თვალსაზრისით, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის ფუნქცია ტრადიციულ საბაზრო ურთიერთობებში ერთგვარი ბალანსის შენარჩუნებაა.

დოქტრინაში არსებული მოსაზრებების თანახმად, ვაჭრობის სფეროში არსებული უთანასწორობა, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და ნაგულისხმევ ელემენტთა ერთობლიობაა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს შედარებითი ცნება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობაში უმნიშვნელოა ძლიერი მხარის უპირატესობა, ხელშეკრულების დადების შემდგომ,

ორივე მხარის უფლებრივი მდგომარეობა უტოლდება ერთმანეთს.

საკმაოდ რთულია აღნიშნული კონცეფციის სალიზინგო ურთიერთობათა სფეროზე მისადაგება, ვინაიდან მითითებული ტიპის ხელშეკრულება წმინდა კომერციული დანიშნულებისაა და გარდა სამართლებრივი კატეგორიისა, მნიშვნელოვან ეკონომიკურ თავისებურებებსაც მოიცავს. სწორედ ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობათა გაწონასწორებას უპირისპირდება სახელშეკრულებო თავისუფლების იდეა. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვა მრავალნაირ სამოქალაქო ურთიერთობებს წარმოშობს, რომელთა მონაწილენი კანონში უშუალოდ მითითებულ წესებთან ერთად, ურთიერთშეთანხმებით ადგენენ ბევრ ისეთ პირობას, რომელიც კანონში არ არის მოცემული, მაგრამ არ ზღუდავს მხარეებს თავისუფლად განსაზღვრონ გარიგების შესაძლო შედეგები. ჩნდება სუსტი მხარის დაცვის პრობლემა, რომელიც შესაძლოა ეკონომიკურად ძლიერი პარტნიორის მიერ შემუშავებული პირობების „მსხვერპლიც“ კი, აღმოჩნდეს. როგორია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კონცეფცია სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ხელშეკრულებათა სამართლიანობის პრინციპებს შორის? როგორ შეიძლება მივაღწიოთ მხარეთა უფლება-მოვალეობათა დაბალანსებას? აღნიშნული საკითხის სიმწვავე სალიზინგო ურთიერთობების მაგალითზე, ლიზინგის გამცემის მიერ, ლიზინგის მიმღების მიმართ, ქონების გადაცემაში ვლინდება.

როგორც წესი, ლიზინგის გამცემი არის პირი, რომელიც ეკონომიკურად უფრო ძლიერია, ვიდრე მისი მიმღები. იგი, შესაძლოა პირველად შედიოდეს მსგავსი ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებში და ვერც კი, აცნობიერებდეს მხარის ეკონომიკური უპირატესობის მნიშვნელობას. საინტერესოა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სულ ახლახანს გაკეთებული განმარტება მეწარმის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. საქმე შეეხებოდა უზრუნველყოფის თანხის ოდენობის განსაზღვრისას მეწარმის თავისუფლების ფარგლების დადგენას. პალატამ სადავო პერიოდში მოქმედ სამოქალაქო კოდექსის 580-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ ლიზინგის მიმართ გამოიყენებოდა ქირავნობის ხელშეკრულების ის წესები, რომლებიც არ

ეწინააღმდეგებოდნენ 576-579-ე მუხლების მოთხოვნებს. ვინაიდან, სალიზინგო ურთიერთობების მარეგულირებელი აქტები არ შეიცავდნენ დათქმას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 552-ე მუხლით და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებლის მიერ ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების წარდგენასთან დაკავშირებით უზრუნველყოფის ოდენობის განსაზღვრისას, შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ უზრუნველყოფის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას. აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არსებული ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა რამდენჯერმე აღემატებოდა ზემოთ აღნიშნული ნორმით იმპე რატიულად განსაზღვრულ ოდენობას, ხოლო ლიზინგის გამცემმა შედარებით სუსტ მხარესთან უფლების რეალიზება განახორციელა არაკეთილსინდისიერად. მის მიერ გამოყენებულ იქნა საწარმოს მძიმე მდგომარეობა და მისი დირექტორის გამოუცდელობა (გულუბრყვილობა). აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, პალატამ სამოქალაქო სამართალურთიერთობის ზოგად პრინციპებსა და საჯარო წესრიგიზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ აღნიშნული გარიგება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე ქმნიდა ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლებს.[8]

პრობლების ძიების გზებს დისპოზიციური და იმპერატიული ნორმების გამოყენების ფარგლების დადგენამდე მივყავართ. სახელშეკრულებო თავისუფლება ზემოქმედებს სუბიექტებზე, რათა მათ თანხმობა განაცხადონ იმპერატიული ნორმების გამოყენებაზე.38 თანამედროვე სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება მხარეთა უფლებრივი თანასწორობის იდეას თავისთავად გულისხმობს მათი ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას. სამართლის დოქტრინაში არსებული შეხედულებები სუსტი მხარის დაცვის

[8]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1686-1580-2012.

თვალსაზრისით, ხშირად საპირისპირო მოსაზრებებს ავითარებს. იურისტთა ნაწილის მოსაზრებით, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში სუსტი მხარის პრობლემამ და მისი დაცვის გზებმა დააკნინა სახელშეკრულებო თავისუფლების იდეა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი ეფუძნება, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების, ასევე, სუსტი მხარის უფლებათა დაცვის მექანიზმს. ქართველი კანონმდებელი, სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზებისაკენ გადაიხარა და მრავალი საკითხის დარეგულირება მხარეთა კერძო ავტონომიის სფეროს დაუქვემდებარა. იმის გათვალისწინებით, რომ სალიზინგო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების იმპერატიული დანაწესებით ფორმირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს წარმატებული ეკონომიკური გარემოს შექმნასა და განვითარებაზე, _ წამოჭრილი საკითხების მოწესრიგების ყველაზე ოპტიმალური გზა სწორედ დისპოზიციური ნორმების დეკლარირებაა. ბიზნესს არ სჭირდება არამდგრადი და ზედმეტად მკაცრი კანონები. კანონმდებელი ნებისმიერ შემთხვევაში, ვალდებულია შექმნას უსაფრთხო ბრუნვის პირობები და შეეცადოს, მოახდინოს მოსალოდნელი რისკების ნეიტრალიზაცია. კანონი, მხოლოდ ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბებას უნდა დასჯერდეს, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან, სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლი არ უნდა გასცდეს ეკონომიკური მიზნების რეალიზებისათვის დასაშვებ საზღვრებს. ამასთან, თანამედროვე სახელშეკ-რულებო სამართალი, რომლის ქვაკუთხედსაც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ქმნის, აცნობიერებს ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა სურვილის მნიშვნელობას, თავისუფლად მიიღონ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გადაწყვეტილება, რომელსაც ხარვეზის შემთხვევაში, უპირისპირ-დება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მოთხოვნა[9].

დაისმის კითხვა, რა საჭიროებას წარმოადგენდა იგი და რით განსხვავდება ჩვენთვის კარგად ცნობილი იჯარისაგან. იჯარაში ვგულისხმობთ ქონების გაცემას დროებით სარგებლობაში და გამოყენებაში გარკვეული თანხის საფასურად.

[9] კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 7

როგორც წესი, იჯარის გამცემმა იჯარით გასცა საკუთარი ქონება, რაგდან იგი ამ მომენტში არ სჭირდებოდა. ხოლო ლიზინგი ესაა ქონებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსი, რომელიც წარმოიშობა ქონების საკუთრებაში შეძენასთან, მის დროებით მფლობელობასა და გამოყენებისათვის გადაცემასთან კავშირში, გარკვეული თანხის საფასურად. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას ბევრი ახალი საფინანსო ინსტრუმენტის შემოსვლა მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტი რომელიც ფართოდ გამოიყენება დასავლეთში და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, როგორც ინვესტიციების აუცილებელი წყარო, არის საფინანსო იჯარა. საფინანსო ლიზინგი ან უფრო მოკლედ და უბრალოდ - ლიზინგი. ამგვარად, ახალი ტერმინის შემოღება აუცილებელი გახდა იჯარის ახალი სახის გამოყოფით.

ლიზინგი სახსრების დაბანდების ერთ-ერთი ფორმაა უკან დაბრუნების პირობით, ესაა განსაზღვრული პერიოდით სახსრების წარდგენა, რომელსაც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგგამცემი უკან იბრუნებს, აქვე დახმარების გაწევისათვის იღებს დამატებით სახსრებსაც საკომისიოს სახით. Lლიზინგი თავისი შინაარსით შეესაბამება საკრედიტო ურთიერთობებს, ხოლო, რადგან მსესხებელი და სესხის გამცემი ერთმანეთთან ურთიერთობისას კაპიტალს არა ფულადი, არამედ სასაქონლო ფორმით იყენებს, ამიტომ მას საერთო აქვს ინვესტირებასთან.

ლიზინგი თავისებური სასაქონლო კრედიტია, რომელიც ტრადიციული საბანკო სესხებისაგან იმით განსხვავდება, რომ ლიზინგგამცემის მიერ ლიზინგმიმღებს წარეგინება გამოსაყენებელი ქონების გადაცემის ფორმით. როდესაც ლიზინგგამცემი შეიძენს საკუთრებაში ქონებას მისი მწარმოებლისაგან სრული ღირებულებით, ლიზინგგმიმღებს დახმარებას აღმოუჩენს საფინანსო მომსახურებით, ხოლო ლიზინგგმიმღები აანაზღაურებს ამ ღირებულებას კრედიტისათვის დამახასიათებელი პერიოდული პროცენტული გადახდებით.

სალიზინგო ქონების გამოყენებაზე ფასის გადახდა ხორციელდება ლიზინგმიმღებისაგან სალიზინგო გადახდების სახით. გადახდების სიდიდე, მეთოდები, ფორმები და პერიოდულობა ყალიბდება მხარეების ურთიერთშეთან-ხმების საფუძველზე. სალიზინგო გადახდების საეთო თანხა თავისთავში მოიცავს:

-სალიზინგო ქონების ღირებულების ასანაზღაურებელ თანხას.

-ლიზინგგამცემის საკომისიო საზღაურს.

-ქონების დაზღვევის სასყიდელს, თუ იგი დაზღვეულია ლიზინგის-გამცემის მიერ.

-ლიზინგგამცემისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამატებით მომსახურებაზე საჭირო გასამრჯელოს.

-სალიზინგო ქონებაზე საგადასაახდო თანხას.

-სალიზინგო ქონებაში გათვალისწინებულ სხვა თანხებს.

სალიზინგო უთიერთობებში საგულისხმო ადგილი უჭირავს რისკის Fფაქტორს, რომელიც შეგვიძლია დავაჯგუფოთ საორგანიზაციო, უფლებრივი და ეკონომიკური უზრუნველყოფით. საორგანიზაციო და ეკონომიკური უზრუნ-ველყოფა ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტებში გარანტიის ხარისხში დიდი ოდენობის დამფუძნებელი კაპიტალის მქონე მოქმედი სამეურნეო სტრუქ-ტურების გამოყენებას. პარტნიორთა ურთიერთ დამოკიდებუ-ლებას საერთა-შორისო ლიზინგში არეგულირებს 1998 წელს მიღებული ოტავის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს ლიზინგით გაცემულ დაზღვეულ ქონებას. ლიზინგით დიდი მოცულობის ქონების წარდგენის შემთხვევაში სადაზღვეო ორგანიზაციები მიმართავენ გადაზღვევის ან თანდაზღვევის სხვადასხვა ფორმებს. საექსპერტო შეფასებები გვიჩვენებს, რომ სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმებისას მონაწილე მხარეთათვის რისკის კოეფიციენტი დაახლოებით 30%.[10]

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ლიზინგი ფართოდ გამოიყენება და სამეწარმეო საქმიანობის მეტად მიზანშეწონილ მეთოდად ითვლება. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა გვკარნახობს ლიზინგის როლის მნიშვნელოვანი ზრდის აუცილებლობას (როდესაც საწარმოთა დიდი ნაწილი უუნაროა, წარმოების ინტენსიფიკაციისა და ტექნიკურ გადაიარაღებაში ჩადოს მსხვილი ფულადი სახსრები), რადგან იგი ნებისმიერი სახის საკუთრების ფორმის სამამულო წარმოების და საერთოდ საწარმოო სფეროს განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

---

[10] ნ. ლიპარტელიანი. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ.2006 გვ.14

ლიზინგის ეკონომიკური არსის შესახებ ეკონომისტებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ლიზინგის არსს და მის როლს ეკონომიკურ თეორიაში ისინი სხვადასხვანაირად განმარტავენ. ერთნი ლიზინგს განიხილავენ, როგორც სამეწარმეო საქმიანობის დაკრედიტების მეთოდს (წესს), მეორენი მას აიგივებენ გრძელვადიან იჯარასთან ანდა მის იმ ფორმასთან, რომელიც მთლიანად წარმოადგენს დაქირავებით ურთიერთობებს, მესამენი ლიზინგს მიიჩნევენ არენდის ნაირსახეობად, მეოთხენი წარმოების საშუალებათა ყიდვა-გაყიდვის შენიღბულ ფორმად, მეცნიერთა მეხუთე ჯგუფი კი ლიზინგს მიიჩნევს სხვის ხარჯზე მოქმედებად, სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ნაირსახეობად და ა.შ. ლიზინგის ეს მრავალნაირი და ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები (ნ. ბიჭიაშვილი, ნ. ბაკაშვილი, ზ. ღუდუშაური, პ. ჩაგელიშვილი, დ. ძნელაძე, გ. ცაავა და სხვები) გვაძლევს უფლებას, გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეს საკითხი დღესაც საკამათოა და მეცნიერულად საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.[11]

ლიზინგი წარმოადგენს საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისათვის. მცირე და საშუალო საწარმოები წამყვან როლს თამაშობენ ეკონომიკაში ინოვაციური სიახლეების შეტანაში, ინვესტიციების განხორციელებაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ლიზინგი გამო-იყენება ასევე, როგორც ქონების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების შედარებით უმტკივნეულო მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, განხორ-ციელდეს ქვეყნის ეკონომიკის გადაყვანა საბაზრო ურთიერთობებზე. ლიზინგის განვითარების ერთ-ერთი და აუცილებელი პირობაა წარმოების საშუალებათა მესაკუთრე ფენის ჩამოყალიბება, რაც წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების გამნსაზღვრელ ფაქტორს[12].

---

[11]ვ. კიკუტაძე, ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში (დისერტაცია) 2008, გვ. 26

[12] Забавский Г.В. Экономическое регулирование лизинговых операции. Минскю2002г. ст. 18

1.2. ლიზინგის სახეები

მსოფლიო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა სალიზინგო ოპერაციათა მრავალ-რიცხოვანი ვარიანტები, ფორმები და მათი რეალიზაციის მეთოდები. ეკონომიკური პროცესების მკვლევარები თავისებურად აყალიბებენ სალიზინგო ოპერაციებს, დღემდე არ არსებობს მათი ზუსტი სისტემა, ასევე კარგად არაა გამიჯნული საზღვრები ლიზინგის სხვადასხვა სახეებს შორის. სალიზინგო ოპერაციათა ჩვენ მიერ შემოთავაზებული შესაძლო კლასიფიკაციაც არაა სრულყოფილი და შემდეგ დახვეწას ექვემდებარება.

ლიზინგის კლასიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა ნიშნების მიხედვით:[13]

- სალიზინგო საგნის გამოყენების ვადის და ლიზინგგამცემის ვალე-ბულებების მოცულობების მიხედვით.
- სალიზინგო გარიგებების, ხელშეკრულებების მონაწილეთა სუბიექტების შემადგენლობის მიხედვით
- სალიზინგო მომსახურების წარმომადგენელი მოცლო-ბების მიხედვით
- სალიზინგო საგნის სახეების მიხედვით
- ბაზრის სექტორის მიხედვით
- სალიზინგო საზღაურის ფორმებით
- გასაღების ბაზრის მიხედვით
- მიზნობრივი ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებით
- გამოსყიდვის ვადები
- საგადასახადო შეღავათებთან ურთიერთდამოკიდებულე-ბით.

სალიზინგო გარიგებათა საკმაოდ დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად, მიღებულია ლიზინგის დაყოფა ორ ძირითად სახედ: **საფინანსო და ოპერატიულ ლიზინგად,** რომლებიც მოდიფიცირდნენ დროთა განმავლობაში და ბიძგი მისცეს სხვა უფრო მოქნილი სახეების ჩამოყალიბებას.

საფინანსო ან კაპიტალური ლიზინგი წარმოადგენს სალიზინგო საგნის სპეციალურად საკუთრებაში შეძენის ოპერაციას, შემდგომ მისი დროებით

[13] ნ. ლიპარტელიანი. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ.2006 გვ.23

გამოყენებასა და მფლობელობაში გადაცემას, ამ საგნის ქმედითუნარიანობას ნორმატიულ პერიოდზე მიახლოვებული ვადით და ამ საგნის ღირებულების სრული ან უდიდესი ნაწილის ამორტიზაციით. შაფინანსო ლიზინგის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სალიზინგო ქონების შეძენის პროცედურას, ასევე გარანტიებს, გირაოს, სალიზინგო საგნის რემონტს, ტექნიკურ მომსახურებას, დაზღვევას და ა.შ.

საფინანსო ლიზინგით სალიზინგო საგნის შეძენის სამი ვარიანტი არსებობს:

- ლიზინგმიმღები დამოუკიდებლად ირჩევს მისთვის სალიზინგო საგანს, ასევე მის გამყიდველს და მხოლოდ ამ გარიგების ანაზღაურების საფუძველზე ხელშეკრულებით მას გადაეცემა სალიზინგო საგნით სარგებლობის უფლება.
- ლიზინგგამცემი ირჩევს სალიზინგო საგნის გამყიდველს და ლიზინგ-მიმღების წინაშე ქონების მიწოდების პირობებზე პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე.
- ლიზინგგამცემი უფლებამოსილებას აძლევს ლიზინგმიმღებს, სალი-ზინგო საგნის გამყიდველთან გამოვიდეს აგენტის როლში.

საფინანსო ლიზინგი ითვალისწინებს სალიზინგო პერიოდის განმავ-ლობაში დადგენილი, მყარად განსაზღვრული თანხის გადახდას, რომელიც საკმარისი უნდა იყოს გაცემული სალიზინგო საგნის სრული ამორტიზა-ციისათვის. სწორედ მან უნდა განსაზღვროს ფიქსირებული მოგება. საფინანსო ლიზინგი ითვალისწინებს სალიზინგო საგნის გაცემას შედარებით ხანგრძლივი პერიოდით და გამოყენების მთელი დროის განმავლობაში მისი ღირებულების სრულ დაფარვას. არსობრივად იგი გრძელვადიანი კრედიტია ფუნქციონირებადი კაპიტალის სახით. საფინანსი ლიზინგის რეალიზაცია ითვალისწინებს პოტენციური ლიზინგმიმღების მიერ აუცილებელი სალიზინგო საგნის შერჩევას,საგნის მწარმოებელთან ფასებზე და მიწოდების ვადებზე შეთანხმებას, ლიზინგგამცემისთვის შემოთავაზებული სალიზინგო საგნის ანაზღაურებას და საბანკო სესხების მიღებას.

საფინანსო ლიზინგის შემთხვევაში სალიზინგო ხელშეკრუ-ლების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგმიმღები უფლებამოსილია:

- შეისყიდოს სალიზინგო საგანი ნარჩენი ღირებულებით (ხშირად ეს ღირებულება სიმბოლურია).
- უკან გააბრუნოს სალიზინგო საგანი.
- გააგრძელოს სახელშეკრულებო პერიოდი
- გააფორმოს ხელშეკრულება ხელახლა

ეკონომისტ-მკლვლევართა დასავლური ხედვა საფინანსო ლიზინგის შესაძლო სამ ვარიანტს გვთავაზობს:

- მომსახურებითი ლიზინგი, რომელიც წარმოადგენს საფინანსო ლი-ზინგის შეთანწყობას რიგით ხელშეკრულებასთან.
- "ლივერიდჟ" ლიზინგი საფინანსო ლიზინგის განსაკუთრებული სახეა, რომლის დროსაც სალიზინგოდ წარმოდგენილი საგნის ღირებულების დიდი ნაწილი აიღება სესხის მესამე მხრიდან – ინვესტორიდან. სალი-ზინგო პერიოდის პირველ ნახევარში ხორციელდება მოწყობილო-ბებისათვის აღებული სესხების დაფარვა. "ლივერიდჟ" ლიზინგს მიეკუთვნებიან ის სალიზინგო გარიგებები,რომლებიც თავისი მასშტა-ბურობით არ ინვესტირდებიან ერთ ან თუნდაც ორი ლიზინგ-გამცემით, მათი ინვესტირებისათვის საჭიროა 5-6 ან უფრო მეტი ლიზინგგამცემის სახსრების მოზიდვა. ძირითადი ლიზინგგამცემი აანაზღაურებს მხოლოდ სალიზინგო საგნის ღირებულების ნახევარს.
- იზინგი "კონვერტში" საწარმოთა დაფინანსების ისეთი სისტემაა, რომლის დროსაც შენობები და ნაგებობები წარმოგვიდგებიან კრედიტში, ხოლი მოწყობილობები ეძლევათ ლიზინგმიმღებებს სალიზინგო ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

ტერმინი "საფინანსო ლიზინგი" მსოფლიოს მასშტაბით დამკვიდრდა ორ ოფიციალურ აქტში მოხსენიების შემდეგ:[14]

[14] ნ. ლიპარტელიანი. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ.2006 გვ.27

- დიდი ბრიტანეთის ახალი საფინანსო ანგარიშიანობის წესების შემოღება SAAPAAP 21 –ის სტანდარტებით (Accounting for Leases and Hire-Purchase Transictions-safinanso angariSi-anobis britanuli standarti).
- 1982 წელს აშშ-ში საგადასახადო დაბეგვრის ახალი კანონის შემოღებისას.

აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად ლიზინგის საგანი უნდა გადაიქცეს კაპიტალად (kapitalizirdes) ლიზინგმიმღების მიერ. მათში დეტალურადაა ახსნილი ლიზინგგამცემის მიერ საფინანსო ანგარიშისა და აღრიცხვის ჩატარების წესები.

ოპერატიული, ანუ სერვის-ლიზინგი (Servise,Operating Lease) ითვალისწინებს მრავალჯერადი გამოყენების ქონების გადაცემას, მისი ქმედების ეკონომიკურ პერიოდთან შედარებით ნაკლები დროით, ანუ ოპერატიულ ლიზინგს მიეკუთვნება გარიგება, რომლის მიხედვითაც სალიზინგო პერიოდი მცირეა მოწყობილობათა ქმედების ეკონომიკურ პერიოდთან შედარებით. აღნიშნული კონტრაქტი მოკლევადიანია (3-დან 5 წლამდე) და ითვალისწინებს ამ პერიოდში მოწყობილობათა არასრულ ამორტიზაციას.

ოპერატიული ლიზინგის შემადგენლობაში შედის:

- რენტინგი (სახელშეკრულებო პერიოდი განისაზღვრება ერთი დღიდან ერთ წლამდე).
- აირინგი (სახელშეკრულებო პერიოდი განისაზღვრება ერთი წლიდან სამ წლამდე).

ოპერატიული სალიზინგო ხელშეკრულების ვადის გასვლის და ამ პერიოდში სალიზინგო ქირის მთლიანად გადახდის შემდეგ, სალიზინგო საგანი სრულიად ექვემდებარება ლიზინგგამცემზე დაბრუნებას, რის შემდეგაც საგნის მფლობელს შეუძლია რამდენჯერმე წარადგინოს იგი ლიზინგზე. ოპერატიული ლიზინგის სახელშეკრულებო ვადა დგინდება მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ოპერატიული ლიზინგის საგნად ძალზე ხშირად წარაგენენ მორალურად სწრაფად მოძველებად, სეზონურ, ერთჯერად ან მოკლევადიანი სამუშაოს შესასრულებელ ტექნიკას. ოპერატიული ლიზინგის დროს სასურველი

სალიზინგო საგნის არჩევის უფლება ლიზინგმიმღებს ეკუთვნის, მაგრამ არჩევანის შესაძლებლობები იზღუდება ლიზინგგამცემის "სასაწყობო მარაგიდან" გამომდინარე. მეორე მხრივ, ოპერატიული ლიზინგის დროს სალიზინგო კომპანია ისე შეიძენს საგანს რომ შეიძლება იმ მომენტში არ არსებობდეს კონკრეტული მოხმარებელი, ამიტომ ოპერატიული ლიზინგის სქემის რეალიზაცია აუცილებ-ლად ითვალისწინებს მუდმივ ინფორმაციას საბაზრო კონიუნქტურაზე და საინ-ფორმაციო ბანკის შექმნას ქონების მეორადი ბაზრიდან პოტენციურ კლიენტებზე (Target grouf).

ოპერატიული ლიზინგის დროს ლიზინგგამცემი თავის თავზე იღებს სალიზინგო საგნის მოულოდნელი გაფუჭების ან განადგურების რისკს, ამოტომ წინასწარ გაუთვალისწინწებელი გარემოებიდან გამომდინარე, თუ სალიზინგო საგანი აღმოჩნდა გამოუსადეგარი, ლიზინგმიმღებს შეუძლია შეწყვიტოს, გააუქმოს სალიზინგო ხელშეკრულება, ეს მომენტი უმნიშვნელოვანესია ლიზინგ-მიმღებისათვის. სწორედ ამ ფორმით იგი თავს იზღვევს ტექნიკის გაუთვა-ლისწინებელი მორალური მოძველებისაგან და ასევე დროულად თავისუფლდება ლიზინგით აღებული საგნიდან, თუ მასზე მოთხოვნილება დაეცა.

მეორე მხრივ, ლიზინგგამცემისათვის ხელშეკრულებაში ვადაზე ადრე სალიზინგო საგნის უკან დაბრუნების პირობის ჩართვა ითვლება კლიენტისათვის მოქნილი და მიმზიდველი პირობების შეთავაზებად, ამით იგი ზრდის თავის კონკურენტუნაირიანობას და აფართოებს გასაღების მეორად ბაზაარს. ეს პირობა მისთვის არახელსაყრელიც არის, რადგან სწრაფად იზრდება მოთხოვნა უახლეს ტექნოლოგიებზე და მოწყობილობათა სრულყოფილ მოდელებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპერატიული (სერვის) ლიზინგი ვერ უზრუნველყოფს ლიზინგგამცემის სრული დანახარჯების კომპენსაციას ძირითადი სალიზინგო პერიოდის განმავლობაში. იგი უახლოვდება ჩვეულებრივ იჯარას, თუ არ გავითვალისწინებთ ლიზინგ-გამცემსა და ლიზინგის საგნის მწარმოებელს შორის დამოკიდებულებას.

სალიზინგო ოპერაციების ფორმების ორგანიზაციის, ჩატარების წესების, სალიზინგო გარიგების ობიექტის (სალიზინგო საგნის) წყაროებიდან გამომდინარე, განარჩევენ: **პირდაპირ, არაპირდაპირ და უკანდაბრუნებად ლიზინგს.**

- **პირდაპირია ლიზინგი,** როდესაც სალიზინგო საგნის გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი, ანუ პირდაპირ ლიზინგს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ლიზინგგამცემის და სალიზინგო საგნის გამყიდველის ფუნქციებს ერთი პირი ასრულებს. შალიზინგო ოპერაციების განსახორციელებლად სალიზინგო საგნის მწარმოებელი თავის სტრუქტურაში ქმნის მარკეტინგულ სამსახურს, რაც ამარტივებს გარიგების მექანიზმს და ამცირებს მისი ჩატარების ხარჯებს.

- **არაპირდაპირი ლიზინგი** ითვალისწინებს ქონების გადაცემის საშუამავლო რგოლის მეშვეობით. სალიზინგო გარიგებათა უმეტესობაში ძევს არაპირდაპირი ლიზინგის პროცედურა. საწყის ეტაპზე ლიზინგგამცემი აფინანსებს სალიზინგო საგნის მწარმოებელს, შემდეგ სალიზინგო საგანს გადასცემს ლიზინგმიმღებს და მისგან იღებს ლიზინგის საზღაურს.

- **უკანდაბრუნებული ლიზინგი** ძალზე საინტერესო მექანიზმია, რომლის დროსაც სალიზინგო საგნის ან ქონების მფლობელი საკუთრების უფლებას გადასცემს მისთვის მომავალ ლიზინგგამცემს ყიდვა-გაყიდვის პირობით და იმავდროულად ამყარებს მასთან ურთიერთობას სალიზინგო საგნის მომხმარებლის ხარისხში. უკანდაბრუნებადი ლიზინგის დროს ლიზინგმიმღები და სალიზინგო საგნის გამყიდველი ერთი და იგივე პიროვნებაა. ლიზინგმიმღები ლიზინგგამცემს მიჰყიდის თავის მოწყობილობებს ან სრულად საწარმოს და იმავდროულად იღებს მას ლიზინგით, ინარჩუნებს რა ამ ქონებაზე საკუთრების და გამოყენების უფლებას. უკანდაბრუნებული ლიზინგი გამოდის საგირავნო ოპერაციის ალტერნატივად, რადგან ქონების გამყიდველი და იმავდროულად ლიზინგმიმღებიც თავის განკარგულებაში ლიზინგგამცემისაგან შეუფერხებლად იღებს საკუთარი მოწყობილობების გაყიდვით წინასწარშეთანხმებით ფულად სახსრებს. ამ ოპერაციით ქონების გამყიდველს და იმავდროულად ლიზინგმიმღებს გამოუთავისუფლდება ფულადი სახსრები, რომლებიც შეუძლია

გამოიყენოს ნებისმიერი საწარმოო და საინვესტიციო მიზნებითაც კი. ხოლო, მეორე მხრივ, სალიზინგო ხელშეკრულების თანახმად იგი ვალდებულია გადაიხადოს ლიზინგის საზღაური.

უკანდაბრუნებული ლიზინგი განსაკუთრებით მიმზიდველია იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც საკმარისი საბრუნავი სახსრები არ გააჩნიათ და ლიზინგგამცემიც თითქოსდა სესხს იძლევა ქონების გირაოთი. მიუხედავად ამ ფაქტორისა, ქონმების გირავნობით სახსრების მიღებასთან უკან დაბრუნებადი ლიზინგის სრული გაიგივება არ შეიძლება, აუცილებელია გავითვალისწინოთ რომ უკანდაბრუნებადი ლიზინგის დასრულებისას ადგილი აქვს საკუთრების დროებით კარგვას. როგორც უკვე ავღნიშნეთ, უკანდაბრუნებადი ლიზინგი საწარმოებს საშუალებას აძლევს ქონების გაყიდვის ხარჯზე დროებით გამოათავისუფლონ შებოჭილი, უმოძრაო კაპიტალი და უკვე ლიზინგმიმღების უფლებებით გააგრძელოს მათი ფაქტობრივი გამოყენება. სწორედ ამის გამო, ლიზინგის ეს სახე ზრდის საწარმოთა დინამიკურობას და სტაბილურობას, ამყარებს მათ კონკურენტ-უნარიანობას.

სალიზინგო ქონებასთან დამოკიდებულებით ლიზინგი შეიძლება დაიყოს: **სუფთა, სრულ, კომპლექსურ და გენერალურ ლიზინგად.**

- **სუფთა ლიზინგის** შემთხვევაში ლიზინგგამცემის (შალიზინგო კომპანიის) მოვალეობაში არ შედის ლიზინგმიმღებისათვის რაიმე პირობების შეთავაზება. სუფთა ლიზინგს ადგილი აქვს, როდესაც სალიზინგო საგნის საექსპლუატაციო, სარემონტო და სადაზღვევო ხარჯებს გასწევს ლიზინგმიმღები. იგი ვალდებულია შეინახოს სალიზინგო საგანი მუშა მდგომარეობაში, მოუაროს მას და გარიგების ვადის დასრულებისას სალიზინგო ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მდგომარეობაში დაუბრუნოს ლიზინგგამცემს.

- **სრული ლიზინგი** გვაქვს მაშინ,როდესაც ხელშეკრულებაში გაითვა-ლისწინება სალიზინგო საგნის ტექნიკური მომსახურების, რემონტის, დაზღვევის, პერსონალი სათანადო მომზადების, მარკეტინგული და სარეკლამო მომსახუ-რების ტექნიკური სისტემები. ლიზინგგამცემი ინარჩუნებს სალიზინგო საგანზე საკუთრების უფლებას. იგი დაინტერესებულია ლიზინგგმიმღენთან მჭიდრო

ურთიერთ-კავშირით და სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში გადაცემული სალიზინგო საგნის მიზანმიმართულ გამოყენებაზე ახორციელებს კონტროლს. სრული ლიზინგი გვთავაზობს მაღალკვალიფიციურ მომსახურებათა ფართო სპექტრს. ლიზინგის მონაწილე მხარეთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება აუმჯობესებს სალიზინგო საგნის საექსპლუატაციო შესაძლებლობებს და ამაღლებს მის კონკურენტუნარიანობას. ასეთი პირობებიდან გამომდინარე, სალიზინგო მომსახურებას ახორციელებენ:

-ლიზინგგამცემი, რომელიც თავის სტრუქტურაში აჰყავს სპეციალიზებული სარემონტო და სხვა სამსახურები.

-სალიზინგო საგნის მწარმოებელი.

-ლიზინგგამცემზე დამოკიდებული სპეციალური სერვიზ ორგანიზაციები. სალიზინგო საგნის სერვისის ერთ-ერთი ძირითადი და რთული ელემენტია ლიზინგგმიმღების ღწურვა საექსპლუატაციო მასალებით და სათადარიგო ნაწილებით. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს აუცილებელი სათადარიგო ნაწილების და დეტალების გაცვლითი ფონდების შექმნის მაღალეფექტურობას.

კომპლექსური ლიზინგი ისეთი სახესხვაობაა, რომლის დროსაც ლიზინგგამცემი ინვესტირებას უკეთებს დამატებით ცაპიტალ-დაბანდებას, რომელიც ძალზე აუცილებელია ლიზინგმიმღებისათვის პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის დასაწყებად.

-საზღვარგარეთულ პრაქტიკაში ხშირად ფორმდება სალიზინგო ხელშეკრულებები რომლებიც მიეკუთვნება ე.წ. გენერალურ ლიზინგს, რომელშიც გათვალისწინებულია ახალი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე სალიზინგო საგნის ხელახლა ლიზინგით გადაცემაზე ლიზინგმიმღების დამატებითი განაცხადი. Gგენერალური ლიზინგი ლიზინგგმიმღების და ლიზინგგამცემის მუდმივი თანამშრომლობის საშუალებას იძლევა, ეს ერთგვარი სალიზინგო ხაზია.

სალიზინგო გადახდების მიხედვით განასხვავებენ: ფულად, საკომპენსაციო და შერეულ ლიზინგს.

-ფულად ლიზინგს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ყველა გადახდები ხორციელდება ფულადი ფორმით.

-საკომპენსაციო ლიზინგი ითვალისწინებს გადახდებს პროდუქციის მოწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ფორმით.

-შერეული ლიზინგი დამყარებულია ფულადი და საკომპენსაციო გადახ-დების ურთიერთშეთანხმებაზე.

საგადასახადო და საამორტიზაციო შეღავათებთან დამოკიდებულებით ლიზინგი იყოფა: ნამდვილ და ფიქტიურ ლიზინგად.

-ნამდვილი ლიზინგი სამართლებრივი დამოკიდებულებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სამეწარმეო საქმიანობის სალიზინგო ფორმების ეკონომიკურ შინაარსს. სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში სალიზინგო საგნის იურიდიულ მესაკუთრედ რჩება ლიზინგგამცემი,ხოლო ეკონომიკური მესაკუთრეა ლიზინგმიმღები. ლიზინგით გაცემული სალიზინგო სალიზინგო საგანი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სამეწარმეო მიზნით. ლიზინგმიმღებს შეუძლია გამოისყიდოს სალიზინგო საგანი საბაზრო ფასით, მაგრამ უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს ლიზინგგამცემის მიერ ქონების შესყიდვის დაფინანსებაში.

-ფიქტიური ლიზინგი ატარებს სპეკულაციურ ხასიათს და გათვლილია მოგების მიღებაზე ქვეყანაში არსებული და მოქმედი საგადასახადო და სხვა შეღავათების ხარჯზე. მიტომ, თუ მისი პირობებით გათვალისწინებულია: ლიზინგმიმღებზე სალიზინგო საგნის გაყიდვასთან დაკავშირებული სრული ამორტიზაცია, სახელშეკრულებო პერიოდში წინასწარი გამოცდით ხანგრძლივი მოქმედების საგნის შეძენა, მაშინ საქმე გვაქვს არა სალიზინგო, არამედ ჩვეულებრივ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებთან.

სალიზინგო გარიგების ძირითადი მონაწილეების ადგილმდებარეობის მიხედვით ლიზინგი იყოფა შიდა და საერთაშორისო სახეებად.

-შიდა ლიზინგის დროს სალიზინგო გარიგების ყველა მონაწილე იურიდიული პირი ერთი ქვეყნის მოქალაქეა.

-თუ ლიზინგგამცემი და ლიზინგიგღები ადგილსამყოფელის მიხედვით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებია, საერთაშორისო ლიზინგთან გვაქვს საქმე.

ლიზინგის ზემოთ განხილული სახეები მაღალი ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მონაწილე სუბიექტების ქმედების მყარი სამართლებრივი ბაზა.

თავი II სალიზინგო ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

2.1. სალიზინგო ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

თანამედროვე ბიზნესის საიჯარო ურთუერთობის მრავალ-ფეროვან მექანიზმებს შორის თავისი დადებითი მახასიათებლებით გამოირჩევა იჯარის შესახებ შეთანხმება ერთი წლით და მეტი დროის ხანგრძლივობით, რომელიც ითვალისწინებს ფიქსირებული გადასახადის სერიას. ასეთი მექანიზმი საერთაშორისო ეკონომიკურ თეორიაში ლიზინგად იწოდება.

კორპორაციები და ფირმები ლიზინგის ინსტიტუტეს იყენებენ ხანგრძლივი მოხმარების მოწყობილობათა შესასყიდად. იჯარის ქვეშ შეიძლება გაიცეს ნებისმიერი ქონება, მათ შორის ელექტროსადგურები, ატომური თბოსადგურები, რკინიგზის შემადგენლობები, სატვირთო ტრანსპორტი,გემები, კომპიუტერები და ზოოპარკის ბინადარი ცხოველებიც კი.

გასული საუკუნის 80-იანი წლები ლიზინგის აღზევების პერიოდში უნდა მივიჩნიოთ. ყოველწლიურად მისი მოცულობა 15-20%-ით იზრდება. როგორც წესი, ძალზე მოხერხებულია მოკლევადიანი ლიზინგი. ლიზინგი კონტრაქტების სტანდარტიზაცია ამცირებს ადმინისტრაციულ და ოპერატიულ დანახარჯებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ლიზინგთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებს მიაკუთვნებენ ისტორიის ახალ ან უახლეს პერიოდს, მაგრამ ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. ისტორიული დოკუმენტები მოწმობს, რომ იჯარა ადამიანისათვის არის ცნობილი უხსოვარი დროიდან. ლიზინგის იდეა ძველია, მაგრამ ტერმინი “ლიზინგი” (LEASE) ასეთი ფორმით გვიან ჩამოყალიბდა. საჯარო გარიგების არსი გახსნა მოდის არისტოტელეს ეპოქიდან (384\383-322 წ. ჩვ.წ.აღრ-მდე). სწორედ მას მიეკუთვნება “რიტორიუკიდან” როგორც საზღვარგარეთულ, ასევე სამამულო ლიტერატურაში

ძალზე ხშირად ციტირებული შემდეგი ფრაზა: “სიმდიდრე გამოყენებაშია და არა საკუთრების უფლებაში”.[15]

ეკონომიკურ ურთიერთობათა მკვლევრების აზრით, საიჯარო გარიგებები ცნობილი იყო ჩვ.წ.აღრ-მდე IV ს-დეც. პ.ბალტუსი და ბ. მაიდჯერი წიგნში – “ევროპული ლიზინგის სკოლა”- გვამცნობენ, რომ ასეთი ურთიერთობები ყალიბდებოდა ჯერ კიდევ ძველ შუმერში და თარიღდებოდა ჩვ.წ.აღრ-მდე 200 წლით. შუმერთა ქალაქ ურში აღმოჩენილ თიხის ფილებზე ვკითხულობთ ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მიწის, წყლის სათავეების, ხარების და სხვა ცხოველების იჯარის შესახებ. ეს თიხის ფირფიტები, რომელთა გარკვეული ნაწილი 1984 წელს აღმოაჩინეს, მოგვითხრობს საეკლესიო პირებზე – მოიჯარეებზე,რომლებიც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ადგილობრივ ფერმერებთან.[16]

ინგლისელმა ისტორიკოსმა ტ.კლარკმა ჩვ.წ.აღრ-მდე 1775-1750 წწ.) ჰამურაბის მიერ მიღებულ კანონებში აღმოაჩინა რამდენიმე დებულება იჯარის შესახებ. მათ შორის ეგვიპტური,ბერძნული, რომაული,იჯარას ძალზე მიმზიდველ და ხელსაყრელ ხერხად მიიჩნევდნენ მოწყობილობების,მიწების, შინაური ცხოველების და ჯოგების მოსაპოვებლად.[17]

ძველმა ფინიკიელებმა,რომლების სახელგანთქმული მეზღვაურები და ვაჭრები იყვნენ, კარგად გამოიყენეს გემების იჯარა. ეს ურთიერთობა თავისი ეკონომიკურ სამართლებრივი არსით ძალზედ წააგავს მოწყობილობათა თანამედროვე ლიზინგის კლასიკურ ფორმას. იჯარის შესახებ მოკლევადიან მოლაპარა-კებათა დიდი ნაწილი უზრუნველყოფდა გემებისა და ეკიპაჯების მოპოვებასაც კი. ხანგრძლივი შეთანხმებების ხელმოწერა ხდებოდა იმ ვადით, რომელიც მოიცავდა გემების ეკონომიკური ანგარიშიანობის სასიცოცხლო პერიოდს.

იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565), რომის სამართლის კოდიფი-კაციის ავტორმა,სალიზინგო ურთიერთობები ასახა ცნობილ წესდებებში.

---

[15] ნ. ლიპარტელიანი, ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ. 2006.გვ.5.
[16] იქვე, გვ.6
[17] იქვე, გვ.6

იურისტები სამართლიანად მიიჩნევენ,რომ რომის სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი იმ ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსი, რომელიც ასახავდა საკუთრების უფლების გარეშე საგნის (ნივთის) ფლობას.

XI ს-ის ვენეციაში,სალიზინგო ოპერაციების მსგავსი გარიგებები არსებობდა. ვენეციელები ვაჭრებს და სავაჭრო გემების მფლობელებს იჯარით აძლევდნენ იმ დროისათვის ძალზე ძვირადღირებულ ნივთს ღუზას. ზღვით მოგზაურობის შემდეგ თუჯის ეს ფასეულობები უბრუნდებოდა მეპატრონეს, რომელიც ხელახლა წარადგენდა მას იჯარაზე.

შუა საუკუნეებში იჯარით გაიცემოდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები და ცხენები. ძოგჯერ ხდებოდა ისეთი შემთხვევები,როდესაც იჯარით განსაკუთრებულ საგნებს სთავაზობდნენ. 1248 წელს რეგისტრირებულია სალიზინგო გარიგება, რომლის თანახმადაც რაინდმა, ბომფის მანგანელა გეტამ იჯარით აიღო აბჯარი (საჭურველი), რათა მონაწილეობა მიეღო მეშვიდე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. შემდეგ იგი იხდიდა საიჯარო ქირას, რომელმაც, საბოლოო ჯამში მკვეთრად გადააჭარბა მუნდირის საწყის ღირებულებას. იმავე პერიოდში თანამედროვე ლიზინგთან მიახლოვებული ოპერაციები ხორციელდებოდა ინგლისში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ, ასწლეულობის მანძილზე უძრავი ქონების იჯარა, ინგლისის მიწის კანონმდებლობით, შეუძლებლად ითვლებოდა, ამიტომ იჯარის ობიექტები ფერმერული მოწყობილობები და ცხენები იყო. როგორც ე. კაბატოვა აღნიშნავს, დიდ ბრიტანეთშე საიჯარო ურთიერთობების მარეგულირებელი ერთ-ერთი პირველი ნორმატიული აქტი "უელსის კანონი" (STATUTE OF WALES) მიიღეს 1248 წელს.[18] XIX ს-ის დასაწყისში, დიდ ბრიტანეთში მრეწველობის განვითარებასთან და მოწყობილობათა სხვადასხვა ტიპის წარმოების გაფართოებასთან კავშირში, გაიზარდა იმ პროდუქციის რაოდენობაც, რომელსაც იძლეოდნენ იჯარით. ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი შეასრულა სარკინიგზო ტრანსპორტის და ქვანახშირის მრეწველობის განვითარებამ. ქვანახიშირის მაღაროების

[18] Кабатова Е. В. Лизинг: понятие, правовое регулирование, международная унификация. - Москва, 1991.ст.54.

მფლობელები საწყის ეტაპზე ყიდულობდნენ ვაგონებს ქვანახშირის გადასა-ტანად, მაგრამ მალე ნათელი გახდა ამ პროცესების წამგებიანობა. ფართოვდებოდა ნახშირის მოპოვება, იხსნებოდა ახალი მაღაროები, იზრდებოდა მოთხოვნა ვაგონებზე. ცირე საწარმოებმა ისარგებლეს ამ სიტუაციით და მომგებიანად დააბანდეს კაპიტალი. ისინი ყიდულობდნენ ნახშირის გადამზიდ ვაგონებს და აძლევდნენ მათ იჯარით სარკინიგზო კომპანიებს. წარმოიშვა ისეთი კომპანიები,რომელთა ერთადერთი მიზანი ლოკომოტივების და სარკინიგზო ვაგონების იჯარა იყო.

საიჯარო ურთიერთობები არც საქართველოს ისტორიული წარსუ-ლისთვისაა უცხო. პროფ. ი.დოლიძის "ქართული სამართლის ძეგლებში", კერძოდ IX-X ს-ების საერო საკანონმდებლო ძეგლებში წარმოდგენილია უამრავი მასალა აბანოს იჯარის, არაყხანისა და ჭურჭლების იჯარის, დაბა ხანის იჯარის შესახებ.[19] იმავე წყაროში მოცემულია "მიმართვა ეკატერინე დადიანისა სამეგრელოს უზენაეს სასამართლოსადმი ქალაქების დებულების შესახებ", კერძოდ, "უზენაეს სამეგრელოს სასამართლოს" "ე" თავი მთლიანად ეძღვნება "იჯარით გაცემისათვის ქალაქის შემოსავალთა". Mმოცემული წყარო უნიკალურია, იგი სამათლებირვი ბაზაა, მასში ძალზე გარკვევითაა გადმოცემული საიჯარო ქირის ნორმები და აუქციონის ჩანასახოვანი ვარიანტი.

"იჯარით გაცემისათვის ქალაქის შემოსავალთა"

1854 წ. 20 ოქტომბერი

52. " თვითოეული ზემო თავსა შინააღწერილთა საგანთანი შესაძლო არს აქაურისა ჩვეულებისამებრ გაიცეს იჯარით ,მიცემითა მოიჯარადრისადმი უფლებათა არაწინააღმდეგთა ამა დადებილებისათა და მი თარა შემაწუხებელთა მოვაჭრეთადმი".

53. "ვისაც სურს აღება იჯარით, რომელისამე ზემო განცხადებულის საგნისა, იგი არაუშორეს იე-ს ნოენბრისა გამოცხადების განმგისაგან ქალაქისა და განუცხადებს მას სურვილსა თვისსა, ხოლო იგი მოვალეს მოელოდოს კვალად

[19] ი.დოლიძის. ქართული სამართლის ძეგლები. გვ.800

სხვათა მოვაჭრეთა, ვიდრე ოცს რიცხვამდე იმავ თვისსა და შემდგომ ხელ ჰყოფს შეკვრასა პირობისას".

54. "უკეთუ სავაჭროდ იჯარისა წარმოსდგების რამოდენიმე პირი, მაშინ განმგე ქალაქისა მოახდენს ვაჭრობასა და ვინც განაცხადებს უმეტესსა გამოსაღებსა, შეუკრავს მას პირობასა".

55."პირობასა შეუკრავს მოიჯარადესა: ა) განმგე ქალაქისა, უკეთუ საიჯარადრო არა გარდაემეტების 50-სა მანეთსა. ბ) ქალაქთუხუცესი უკეთუ რაოდენობასა ფულისა არა აღემატების ას ორმოცდაათს მანეთსა და უკეთუ აღემატების, მაშინ ესე ვითარი პირობა ნდა შეიკრას თვით მთავრისაგან, რომელთანაც მოვაჭრენი იქმნების წარმოდგენილ შორის კე-სა და ლ-სა რიცხვს ნოემბერსა".

იმავე წყაროში მოცემულია წისქვილის და აბანოს იჯარით აღების ძალზე საინტერესო დოკუმენტები[20] .

"წისქვილის იჯარით აღების წიგნი"

1801 წ. 5 თებერვალი

. . . "ავიღეთ ჩვენ სარდლის ყმამ ყივაზამ და მეკოკიშვილმა დავითამ თქვენ, გოსტაშაბისშვილის დავითისა და ნიკოლოზისაგან ქოთიშს თQვენი წისქვილი ამ წელლს იჯარით. ამ თარიღიდამ წლამდე ჩვენ უნდა გვეჭიროს და უნდა მოგვცეთ წლამდის შვიდი ურემი წმინდა პური თვე და თვე გაძლიოთ.

ღმერთმან ნუ ჰქმნას, თუ მრტისაგან მოცდეს, ის თქვენ უნდა ჩაიგდოთ, თუ წყალმა სათავე წაახდინოს, ათი მუშის სამუშაო ჩვენ უნდა გავაკეთოთ და რაც მეტი სამუშაო იყოს, ის თQვენ უნდა გააკეთოთ". . .

"აბანოს იჯარის წიგნი მამადასი იოვანე სუმბათოვისადმი"

1805 წ. 10 მარტი

. . . "ავიღე მე, მამდამ,შენ, ბატონი დიამბეგი თავადი იოვანე სუმბათოვისაგან, თქვენი აბანო ამ ნავროზიდამ მომავალს ნავროზამდი სამოცდახამეტ თუმნად. ქედან სამი თუმანი ჩემი ხალათი და სამოცდაათი თუმანი თვე და თვე გინდა დღე და დღე თაბაუთითი მოგართო.

[20] ი.დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები. თბ. 1963, გვ.936-938

ღმერთმან ნუ ქნას,ბარგაშტობა მოხდეს, რაც სხვა იჯარადარს სამართალი მიეცეს, მეც ის სამართალი მამეცეს.

თუ აბანოს შენობა რამ მოუნდეს,მე აგაშენო და თქვენ იჯარაში მიანგარიშოთ ". . იმავე წყაროში (გვ.88) მოცემულია "მძოვრეთის ბაჟის იჯარით აღების წიგნი Gაბრიელა ფირალიშვილისა ბაგრტ ციციშვილისადმი", დათარიღებული 1729 წ. 1 იანვრით. სევე მოცემულია "სამღებროს იჯარის წიგნი უცნობი პირისა გოგია ციციშვილისადმი", დათარიღებული 1784 წელს[21].

სამღებროთა იჯარა სრული ნებაყოფლობისა და თავისუფალი შესაქმების შედეგია. შაჯაროდ გამოცხადებული საქმე გარკვეული ხნის განმავლობაში (40 დღე) ღიაა კონკურენტთათვის: ვინც მეტს გაიღებს მას მიეცემა. იჯარით ჩვეულებრივ ერთი წლით გასცემენ. შაიჯარო ქირა არა წინასწარ, არამედ ყოველთვიურად ეძლევა სამღებროს პატრონს. მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ "თუ ღმერთმან ნუ ქნას-ბარგაშტობა რამე მოხდეს" (ირან.ბარგაშო-დაბრუნება, ბარგაშტობა იჯარის დარღვევაა), ე.ი. თუ მოიჯარადრისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საქმე შეფერხდა და სამღებრო მოცდა, იჯარადარაი "სამართალს" მოითხოვს ასეთი მოცდენისდა შესაფერისად, საიჯარო გადასახადის საკლებასთან დაკავშირებით.

ავსტრიელი მკვლევარი ვ. ჰოიერი თავის წიგნში – "როგორ გავაკეთოთ ბიზნესი ევროპაში", აღნიშნავს,რომ პირველად ტერმინი "ლიზინგი" გამოიყენეს 1877 წელს, როდესაც სატელეფონო კომპანია BELL-მა მიიღო გადაწყვეტილება, კი არ გაეყიდა თავის სატელეფონო აპარატები, არამედ გადაეცა იჯარით (დაეყენებინათ აპარატები ბინებში ან ოფისებში კლიენტებისათვის, მხოლოდ საიჯარო ქირის გადახდის საფასურად). ამ ოპერაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იმ დროისათვის სპეციფიკური ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგებით დაინტერესდნენ ახალი ტექნიკის მწარმოებლები.[22]

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უზრუნველყო საიჯარო ბიზნესის მკვეთრი წინსვლა. სწრაფად

---

[21]ნ. ლიპარტელიანი. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ.2006 გვ.10-11

[22] *Хойер В.* Как делать бизнес в Европе. М. «Прогресс». 1990. http://lib.ru/DPEOPLE/eurbus.txt (26.06.2019)

გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სალიზინგო ბიზნესის მასშტაბები. XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა ავტომობილების ლიზინგის იდეა. თავდაპირველად ასეთი ტიპის მომსახურეობა Drive-Your-Self-ად იწოდებოდა ასევე იწოდებოდა ის კომპანიას რომელიც ამ იდეის პიონერად იქცა 1918 წწლს, ჩიკაგოში უოლტერ ჯეკობსის თაოსნობით. სწორედ საავტო-მობილო ლიზინგის ერთ-ერთი პირველი მაგალითი მიეკუთვნება 1918 წელს საავტომობილი სალიზინგო ბიზნესის კანონიერ მამად კი ითვლება ზოლი ფრენკი,სავაჭრო აგენტი ჩიკაგოდან, რომელმაც პირველმა წარადგინა ხანგრძლივ იჯარაზე ავტომობილები. 1930-იან წლებში ჰენრი ფორდმა ეფექტურად გამოიყენა სალიზინგო ურთიერთობები, რათა გაეფართოვებინა თავისი ავტომობილების გასაღება. [23]

1940 წლის 2 სექტემბერს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის გაფორმდა სალიზინგო გარიგება დიდი ბრიტანეთის ბაზების თაობაზე ამერიკული ესმინცების სანაცვლოდ.სალიზინგო პერიოდი განისაზღვრა 99 წლით. ეს იყო ქონების ლიზინგის ერთ-ერთი პირველი ხანგრძლივი გარიგება. შამომავლოდ ეს სალიზინგო გარიგება იქცა პრეცენდენტად შემგდომი კანონპროექტისათვის LAND-LEASE –ს სახელწოდებით.[24]

Yyofil ssrk-ში ”ლიზინგთან” გაცნობა მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც 1941-1945 წლებში -LEASE პროგრამით განხორციელდა ამერიკული ტექნიკის მოწოდება. 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის ივნისამდე აღნიშნული პროგრამით (Lennd-lease to the USSR) სსრკ-ში შემოიტანეს: 1285 ერთეული თვითმფრინავი, 2249 ერთეული ტანკი, 81287 ერთეული ქვემეხი, 59 455 620 ცალი ასაფეთქებელი ნივთიერებები, 36825 ერთეული სატვირთო მანქანა, 56445 ცალი საველე ტელეფონი,600000 კმ.სატელეფონო კაბელი,14982 ერთეული საბრძოლო ავიაგამანადგურებელი, 3809 ერთეული ყუმბარმტყორცნი და მოიერიშე თვითმფრინავები. აშშ-ს დახმარება მოკავშირეებზე პროდუქტადი ღირებულების ჩათვლით შეადგინა 49,1 მილიარდი აშშ§. საიჯარო ურთიერთობებში აშშ-ში

[23]ნ. ლიპარტელიანი. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ.2006 გვ.11-14
[24]იქვე. გვ.14

ნამდვილი რევოლუცია მოხდა XX ს-ის 50-იან წლებში. იჯარით მასიურად გასცემდნენ ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, მანქანებს, მექანიზმებს, გემებს, თვითმფრინავებს და ა.შ. აშშ-ს მთავრობამ ღირსეულად შეაფასა არსებული სიტუაცია, ოპერატიულად შეიმუშავა და რეალიზება გაუკეთა სალიზინგო ხელშეკრულებათა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამას.[25]

პირველი სააქციო საზოგადოება, რომლისთვისაც სალიზინგო ოპერაციები საქმიანობის ძირითად სახეობად იქცა,იყო 1952 წელს სან-ფრანცისკოში ჩამოყალიბებული ცნობილი ამერიკული კომპანია ”UNITED STATES LEASING KORPORACION”, რომელიც დააარსა ჰენრი შონფელდმა. თავიდან მან კომპანია შექმნა ერთი კონკრეტული სალიზინგო გარიგებისათვის, შემდეგ კი მიხვდა, რომ სალიზინგო ბიზნესი შეიძლება ძალზე პერსექტიული ყოფილიყო. შალიზინგო ოპერაციებმა მალე გადაკვეთა Aაშშ-ს ფარგლები და ნელ-ნელა ჩამოყალიბება დაიწყო სალიზინგო ბიზნესისათვის ისეთმა მნიშვნელოვანმა გაგებამ, როგორიცაა საერთაშორისო ლიზინგი. ღამდენიმე წლის შემდეგ ზემოთ აღნიშნულმა კომპანიამ თავისი ფილიალების გახსნა დაიწყო სხვა ქვეყნებში, 1959 წელს პირველად კანადაში შეიცვალა კომპანიის დასახელებაც: ”UNITED STATES LEASINGINTERNACI-ONAL”.

აშშ-ს კომერციული ბანკები დაუყონებლივ ჩაერთვნენ სალიზინგო ოპერაციებში. სალიზინგო ბიზნესის განვითარებაზე დადებითად იმოქმედა 1971 წელს ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველობითი საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც უფლებას აძლევდა ბანკებს დაეარსებინათ შვილობილი ფირმები, მოწყობილობების, ხოლო შემდგომ უძრავი ქონების ლიზინგით გაცემისათვის. შედეგად აშშ-ში ჩამოყალიბდა სამი ტიპის სალიზინგო კომპანია: დამოუკიდებელი, შვილობილი და ბანკების ფილიალები.

[25]ნ. ლიპარტელიანი. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ.2006 გვ15.

2.2. საქართველოში არსებული სალიზინგო ურთიერთობების განვითარება მსოფლიო გამოცდილების ფონზე

დასავლეთის ქვეყნებში ლიზინგის გავრცელება გასული საუკუნის 50_იანი წლებიდან იღებს სათავეს. მან თავიდანვე დიდი კონკურენცია გაუწია საბანკო კრედიტს. სალიზინგო კომპანიების დამფუძნებლებიც ძირითადად ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები იყვნენ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია, კლიენტს შესთავაზო კრედიტი არა ფულადი სახით, არამედ ის ქონება რომლის ყიდვასაც იგი აპირებს ამ ფულით. ე.ი. ფაქტობრივად ლიზინგიც კრედიტია (სასაქონლო კრედიტი), რომელიც მანქანა_მოწყობილო-ბების, სატრან-სპორტო საშუალებების, შენობებისა და ნაგებობების და ა.შ. სახით ხორციელდება. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ დასავლეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ლიზინგის მდგომარეობასა და თავისებურებებს.

სალიზინგო ურთიერთობამ სწრაფად გადაკვეთა ეროვნული ფარგლები და სულ მალე, საერთაშორისო ყურადღების ცენტში მოექცა. შედეგად, კერძო სამართლის უნიფიკაციის ჩარჩოებში საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, 1974 წელს შექმნილი ჯგუფის ათწლიანი მუშაობის შედეგად, ოტავაში (კანადა), 1988 წლის 28 მაისს, მიღებული იქნა კონვენცია „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“ (Convention on internationl financial leasing).[26] კონვენციის მიზანია, საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის გზაზე არსებული იურიდიული წინააღმდეგობების აღმოფხვრა, იჯარის ტრადიციული ორმხრივი ხელშეკ-რულების ადაპტირება სამმხრივთან და ერთგვაროვანი ნორმების ჩამოყალიბება, რომლებიც სამართლებრივად დაარეგულირებს ლიზინგის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ კანონის ზოგიერთი პირობა იმპერატიულია, მხარეებს ცალკეულ შემთხვევაში, უფლება აქვთ, შეცვალონ ან საერთოდ გამორიცხონ მათთვის არასასურველი ნორმების

[26]Magnus Ulrich, Global trade law, ,,International business law of the United Nations and Unidroit Collection of Uncitral's and Unidroit's Conventions, model acts, Guides and principles'', European Law Publishers; 2004, p. 423.

გამოყენება. „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის“ შესახებ კონვენციის ეროვ-ნულ დონეზე დანერგვა არც თუ ისე წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, მან იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც პირველად ასახავდნენ სალიზინგო ურთიერთო-ბებს შიდა კანონმდებლობაში, მნიშვნელოვანი სამართლებრივი სტანდარტი შექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი აქტუალური საკითხი წინამდებარე კონვენციის მიერ, რეგულირების გარეშე იქნა დატოვებული, 2008 წლის 13 ნოემბერს, კვლავ კერძო სამართლის უნიფიკაციის ჩარჩოებში შემუშავებულ იქნა ახალი მოდალური კანონი ლიზინგის თაობაზე. ერთიანი საკანონმდებლო მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ფასდაუდებელია „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“ იუნიდროას მოდალური კანონის მნიშვნელობა. აღნიშნული აქტი, ცალკე სამართლებრივი ფუნდამენტის შექმნის გზით, ფინანსური ლიზინგის ძირითადი უპირატესობების წარმოჩენის საუკეთესო მაგალითია. წინა აქტისაგან განსხვავებით, მოქმედების სფერო უფრო ფართოა და მოიცავს ყველა სახის ქონებას, რომელიც შეიძლება იყოს ლიზინგის ხელშეკ-რულებით გათვალისწინებული ობიექტი.

ამერიკის შეერთებული შტატები. მიუხედავათ იმისა, რომ სალიზინგო გარიგების შესახებ პირველ დოკუმენტურ ცნობად ითვლება ვილჰელმ დამპყრობელის მიერ ბრიტანეთის კუნძულების დასაპყრობად ნორმანდიელი გემთმფლობელებისაგან გემების, ხოლო ორი საუკუნის შემდეგ (1248 წელს) ჯვაროსნების მიერ საომრად საჭირო ამუნიციის იჯარით აღება, ლიზინგის სამშობლოდ მაინც აშშ მიიჩნევა. სწორედ აშშ-ში, კერძოდ სან-ფრანცისკოში, 1952 წელს დაფუძნდა მსოფლიოში პირველი სალიზინგო კომპანია, სახელწოდებით iunaited steists lizing korporeiSen. აშშ-ზე მოდის ლიზინგით მიწოდებული საქონლის მსოფლიო ბრუნვის ნახევარი. 1986 წელს აშშ-ში განხორციელდა 85 მლრდ დოლარის მოწყობილობის ლიზინგი, რამაც მოწყობილობებში განხორცი-ელებული მთელი ინვესტიციების 28% შეადგინა. აშშ-ში ფუნქციობს ისეთი საერთაშორისო მასშტაბის სალიზინგო კომპანიები, როგორებიცაა: „ILFC“, „Bank Amerilease Group“, „Golodefz Trading Gorp“, „Security Pacific Consider Corp” და ა.შ.

მაგ. საერთაშორისო სალიზინგო კორპორაცია “ILFC” ირლანდიურ სალიზინგო კომპანიასთან _ „Gyness Peat Aviation Group” ერთად აკონტროლებს მსოფლიო საავიაციო სალიზინგო ბაზარს. მისი აქტივების მოცულობამ, 1992 წლის მონაცემებით, 1,65 მლრდ დოლარი შეადგინა. იგი თავის კლიენტებს ყოველგვარი წინასწარი გადასახდელის გარეშე 3-15 წლის ვადით სთავაზობს თანამედროვე სამგზავრო ლაინერებს, რის შედეგადაც „ILFC„ დღეისათვის მსოფლიო საავიაციო სალიზინგო ბაზრის 10% ფლობს.[27]

დიდი ბრიტანეთი. ლიზინგის განვითარება დიდ ბრიტანეთში 1970 წლიდან იწყება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სალიზინგო ოპერაციების შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის შემოღებამ. კერძოდ, იმ წელს სალიზინგო კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ, შეემცირებინათ დასაბეგრი მოგება სალიზინგო ინვესტიციის 100%_იანი სიდიდით. ამ შეღავათმა იარსება 1986 წლამდე, რის შემდეგაც იგი თანდათანობით შემცირდა და ამჟამად 25%_ს შეადგენს. ე.ი. დღეისათვის ინგლისში სალიზინგო კომპანიებს უფლება აქვთ, დასაბეგრი მოგება შეამცირონ სალიზინგო ინვესტიციების 25%_ის სიდიდით.

საფრანგეთი. კანონი ლიზინგის შესახებ საფრანგეთში მიღებული იქნა 1966 წელს, რის საფუძველზედაც უკვე 1967 წელს შეიქმნა პირველი სალიზინგო კომპანია „lokafrans“_ი. საფრანგეთში უძრავი ქონების ლიზინგის ხანგრძლივობა 15_20 წელს შეადგენს. ლიზინგის ობიექტი კი შეიძლება იყოს: ნებისმიერი სახის უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც ექვემდებარება ამორტიზაციას.

შვედეთი. ლიზინგის განვითარება შვედეთში 60_იანი წლებიდან დაიწყო. თავდაპირველად სალიზინგო მომსახურებით მცირე და საშუალო სიდიდის ფირმები სარგებლობდნენ, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ ბანკიდან სესხის ასაღებად საჭირო საგარანტიო ქონება. ლიზინგის ვადა შვედეთში 3_5 წელია, გამონაკლის შემთხვევებში _ 9 წელი.

რუსეთი. პირველი სალიზინგო კომპანიები რუსეთში 1992 წლიდან

[27] ნ. აჩუაშვილი. საქართველოს ავიასაწარმოების სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები. დისერტაცია. თბ. 2012, გვ.20

გამოჩნდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სალიზინგო საქმიანობა რუსეთში ჯერჯერობით სათანადოდ არ არის განვითარებული, ამ სფეროში კონკურენცია ფაქტობრივად არ არსებობს. ბანკები უმრავლეს შემთხვევაში თავს იკავებენ სალიზინგო ოპერაციების წამოწყებისაგან, რადგან ასეთი ოპერაციები დიდ ფინანსურ რესურსებს საჭიროებს, ამოგება კი გვიანდება.

თავი III. საქართველოსა და უცხო ქვეყნებში მოქმედი სამართლის ნორმები

3.1. ლიზინგის განმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ლიზინგი რეგულირდება შესაბამისი საკანონ-მდებლო და სააღრიცხვო ბაზის საფუძველზე. ფინანსურ სფეროში მოქმედებს სპეციალური სტანდარტები, მაგალითად, როგორებიცა არის – FASB No. 13 ამერიკის შეერთებულ შტატებში; SSAP No. 21 დიდ ბრიტანეთში; AASB 117 – ავსტრალიაში; და საერთაშორისო დონეზე - IAS 17 (IASC).

რაც შეეხება საქართველოს, ლიზინგი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით და იგი მოცენმულია სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართალის (კერძო ნაწილი) კარი I. სახელშეკრულებო სამართალი (ნაწილი მეორე) მე - 4 თავში, 576 - ე, 577 - ე, 578 - ე, 579 - ე, 576 - ე, 580 - ე, 581 - ე, 582 - ე, 583 - ე, 584 - ე, 585 - ე, 586 - ე მუხლებში.

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ხელშეკრულების ცნების კლასიკურ დეფინიციას. სამართლის დოქტრინაში არსებული შეხედულებების თანახმად, იგი ორმხრივი (მრავალმხრივი) გარიგებაა და როგორც იურიდიული ფაქტი, იწვევს მთელი რიგი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას.მის გარეშე წარმოუდგენელია ეკონომიკური წინსვლა და პროგრესი. ეროვნული ასოციაციების ევროპული ფედერაცია ლიზინგს განმარტავს, როგორც ქარხნის, სამრეწველო საქონლის, მოწყობილობებისა და უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებას მოიჯარის მიერ საწარმოო მიზნით მისი შემდგომი გამოყე-ნებისათვის, მაშინ როდესაც ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში საკუთრების უფლებას ინარჩუნებს მეიჯარე. აღნიშნული განმარტება საკმაოდ მრავლისმომცველიადა წარმოაჩენს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ელემენტების თავისებუ-რებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებისას ლიზინგი მასში აისახა როგორც ხელშეკრულების სახე. თუმცა, 2002 წელს საკანონმდებლო ორგანომ

მიიღო კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ," რომელიც კოდექსისაგან განსხვავებით, უფრო დეტალურ მოწესრიგებას სთავაზობდა ბრუნვის მონაწილეებს ლიზინგის სახეების გათვალისწინებით. შეიქმნა სალიზინგო ურთიერთობათა დუალისტური მოწესრიგების რეალობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ დასახელებული სამართლებრივი აქტები, არამც თუ ავსებდნენ, არამედ ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც ლიზინგის ხელშეკრულების იურიდიულ ბუნებას. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებ-ლად საკმარისია, „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტზე მითითება, რომელსაც თავიდანვე აკლდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლსა და მხარეთა მიერ, შესყიდვის ოფციის გამოყენების თაობაზე წინასწარ შეთანხმების აუცი-ლებლობაზე მითითება, ვინაიდან, ქონებაზე შესყიდვის ოფციის ვალდებულება მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, თუ მხარეები ნების თავისუფალი თანხვედრის შედეგად გაითვალისწინებენ წინამდებარე დებულებას სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფორმირებისას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს პარლამენტმა 2011 წელს, განახორციელა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580-ე მუხლებში, რითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2002 წლის 07 მაისის კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ".

სსკ-ის 576-ე მუხლის პირველი ნაწილი არსებითად იგივე შინაარსისაა, თუმცა, დაემატა ორი ნაწილი ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის ვალდებულებაზე მითითებით, რომლის თანახმადაც, ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისაგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად გამოყენება, ხოლო ლიზინგის გამცემი იძენს ქონებას ლიზინგის გადასაცემად და მიმწოდებლისათვის ეს ფაქტი ცნობილია. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი აკონკრეტებს მიმწოდებლის ცნებას, რომელიც შეიძლება იმავდროულად, იყოს ლიზინგის გამცემი, თუ მიმწოდებლის ჩვეულებრივი საქმიანობა არის ქონების მიწოდება ან/და ქონების ლიზინგით გაცემა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, ლიზინგის მიმღების უფლება, მოიძიოს და

თავად შეიძინოს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი. ამ დროს, აქცენტი ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის ეკონომიკურ მხარეზე არის გადატანილი. ახალი საკანონმდებლო ცვლილება ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების განმეორებით გადაცემის საკითხსაც შეეხო.

სსკ-ის 576-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ლიზინგით გადაცემული ქონება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას განმეორებით შეიძლება გაიცეს ლიზინგით, მაგრამ იმისთვის, რომ მასზე გავრცელდეს ამ თავის დებულებანი, ლიზინგის გამცემმა უნდა მოიპოვოს ლიზინგის მიმღებისაგან ქონების დამოუკიდებელი შერჩევის დადასტურება. აღნიშნული მუხლი განმარტების თვალსაზრისით, საკმაოდ ბუნდოვანია. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის ხელახლა ლიზინგით გაცემის უფლების შეზღუდვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და იგი მხარეთა დისპოზიციური ნების თანხვედრის შედეგია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების №18/04 (2019 წლის 5 თებერვალი)[28] საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესი ჩამოყალ;იბდა შედეგნაირად :

ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშე-ბისათვის საჭიროა ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის გადახდების დღევანდელი ღირებულება გაუთანაბრდეს ლიზინგის დაფინან-სების თანხას. იგი გამოისახება წლიური პროცენტით და გაიანგარიშება ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგზე გაწეული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით.

[28] სსკ_ის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის დამტკიცების თაობაზე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4473395?publication=0

ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{k=1}^{k=m} \frac{A_k}{(1+i)^{t_k}} = \sum_{k'=1}^{k'=m'} \frac{A'_{k'}}{(1+i)^{t_{k'}}}$$

გამოყენებულ აღნიშვნათა განმარტება:

ა) k – ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემის რიგითი ნომერი;

ბ) k’ – სალიზინგო საზღაურის რიგითი ნომერი;

გ) Ak – k რიგითობით გაცემული ლიზინგის დაფინანსების თანხა;

დ) A’k’ – k’ რიგითობის შესაბამისი სალიზინგო საზღაური;

ე) Σ- ჯამის ნიშანი;

ვ) m – ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემების საერთო რაოდენობა;

ზ) m’ – სალიზინგო საზღაურების საერთო რაოდენობა;

თ) tk – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, ლიზინგის დაფინანსების პირველ რიგობით გაცემასა და შემდგომ გაცემებს შორის – მეორედან – m -მდე;

ი) tk’ – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, ლიზინგის დაფინანსების საწყის თარიღსა და სალიზინგო საზღაურის გადახდებს შორის – პირველიდან – m’-მდე;

კ) i – ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი დაშვებები:

ა) თუ სალიზინგო საზღაურის გადახდების ფიქსირებული პერიოდი არ არის მითითებული, ლიზინგის ხანგრძლივობად დაიშვება ერთი წელი და გადახდების სქემად ყოველთვიური გადახდის სქემა;

ბ) თუ სალიზინგო საზღაურის გადახდის თარიღები ფიქსირებულია და თითოეული გადახდის ოდენობა შესაძლოა იყოს განსხვავებული გარკვეული მინიმალური ლიმიტით, დაიშვება, რომ ლიზინგის მიმღები ახორციელებს მინიმალური შესაძლო თანხის შეტანას თითოეული თარიღისათვის;

გ) სარგებლის სახით ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ლიზინგის სარგებელი მუდმივია და უტოლდება ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შეთანხმებულ სარგებელს;

დ) თუ ლიზინგის ხელშეკრულება სარგებლის და/ან სხვა ფინანსური ხარჯების სახით ითვალისწინებს განსხვავებულ განაკვეთებს სხვადასხვა პერიოდებისთვის და/ან სხვადასხვა პირობებისათვის და/ან ლიზინგის ხელშეკრულებით შეთანხმებულია სხვადასხვა შესაძლო პირობა ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს იმ დაშვებით, რომლითაც მიიღება აღნიშნული განაკვეთის ყველაზე მაღალი შესაძლო მნიშვნელობა.

ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ მხარეები დროულად ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მის გამოთვლაში არ გაითვალისწინება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავის ხარჯები ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა.

ლიზინგის დაფინანსების საწყის თარიღს წარმოადგენს მიმწოდებელთან გაფორმებული ლიზინგის საგნის ნასყიდობის ან სხვაგვარად მიწოდების შესახებ ხელშეკრულების დადების თარიღს, ლიზინგის ხელშეკრულების დადების თარიღს და ლიზინგის ხელშეკრულებით შეთანხმებულ საწყის თარიღს შორის ყველაზე უფრო გვიანდელი თარიღი, ხოლო თუ ლიზინგის საგნის მესაკუთრე თავად ლიზინგის გამცემია–ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმებასა და ლიზინგის საგნის ლიზინგის მიმღების სარგებლობაში გადაცემის თარიღებს შორის ყველაზე გვიანდელი.

ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.

ლიზინგის ხელშეკრულება და ხელშეკრულების მხარეები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა აღიარა ლიზინგის კლასიკური ფორმა. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღრული ქონება (მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო ნაგებობანი და ა.შ.) ხელშეკრულებით დათქმული ვადით ისე, რომ ინარჩუნებს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას. ლიზინგის ხელშეკრულებაში მხარეებად გამოდიან ქონების მესაკუთრე ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) და ლიზინგის მიმღები, რომელსაც ქონება გადაეცა დროებით სარგებლობაში[29].

ლიზინგის გამცემის საქმიანობა ხორციელდება კომერციულ საფუძველზე. ლიზინგის გამცემად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი კომერციული იურიდიული პირი, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართებლივი ფორმით. უფრო ხშირად ლიზინგის გამცემად გამოდიან სალიზინგო კომპანიები. სალიზინგო კომპანია წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც იქნება სააქციო საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართებლივი ფორმით. შალიზინგო კომპანიაში, როგორც წესი, მონაწილეობენ სხვადასხვა კომეციული ბანკები.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს განსაზღრული ქონება და გადასცეს მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით. ეს პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდ-გინოთ: პოტენციური ლიზინგის მიმღები, რომელსაც არ გააჩნია ფინანსური საშუალებანი მიმართვას ლიზინგის გამცემს (სალიზინგო კომპანიას) საქმიანი წინადადებით, რათა ამ უკანასკნელმა დაამზადოს გარკვეული სახისა და რაოდენობის ძვირადღირებული ქონება ან შეიძინოს მისთვის საჭირო ქონება და გადასცეს მას დროებით სარგებლობაში. ორივე შემთხვევაში ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) რჩება ქონების მესაკუთრედ. ხელშეკრულებიდან

[29] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. რედ. ლ. ჭანტურია. თბ.1999წ. წ.4.ტ.1.გვ148

გამომდინარე, მატერიალური ფასეულების მწარმოებელი ფირმის შერჩევის უფლება შეიძლება მიეცეს როგორც სალიზინგო კომპანიას, ასევე მიმღებს.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირ-დაპირ ლიზინგს ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს ამ ხელშეკრულებით ქონება.

ლიზინგის დროს დამზადებულ-გამსაღებელი საწარმო ლიზინგის მიმღებს შუამავლის გარეშე გადასცემს სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწი-ნებულ ქონებას. ამ შემთხვევაში სალიზინგო ოპერაციის ჩასატარებლად დამზადებული საწარმო თავის სტრუქტურაში მარკეტინგის სამსახურთან ქმნის სპეციალურ ქვეგანყოფილებას, რომელიც შუამავლის გარეშე აწარმოებს სალიზინგო ოპერაციებს.

არაპირდაპირი ლიზინგის დროს ხდება ქონების გადაცემა შუამავლის საშუალებით. შუამავლად გამოდის სალიზინგო კომპანია, რომელიც მწარმო-ებელი ფირმისაგან ან სხვა ინვესტორისაგან შეისყიდის ლიზინგის მიმღებისთვის საჭირო ქონებას და გადასცემს მას.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუკი ხელშეკრულების საგანი სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. რამდენად კანონმდებელი ლიზინგის საგანზე ითვალისწინებს ოფციას.

ქონება ლიზინგის მიმღებმა უნდა დააბრუნოს ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებულ ვადაში, ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირგასამტეხელო. შესაძლოა ხელშეკრულების ვადის გასვლას სხვა შედეგიც მოჰყვეს, მაგალითად, განახლდეს ლიზინგის ხელშეკრულება გარკვეული ვადით ანდა ლიზინგის საგანი დაუბრუნდეს ლიზინგის გამცემს. ამასთან უნდა გავითვა-ლისწინოთ ისიც, რომ ხშირად ლიზინგის ხელშეკრულება ხანგრძლივია და უტოლდება მთლიანად ამორტიზაციის პერიოდს.

ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: ა. მთლიანად ფასს; ბ. სალიზინგო საზღაურის თანახასა და მისი

გადახდის ვადებს; გ. საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას მისი გამოთვლის წესს. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და დაცული უნდა იქნეს მასში მითითებული მოთხოვნები.

ლიზინგის ხელშეკრულება იდება როგორც მარტივი, ისე რთული წერილობითი ფორმით, იმ შემთხვევაში, როცა ლიზინგის საგანი უძრავი ქონებაა, იგი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და გატარდეს საჯარო რეესტრში.

სალიზინგო საზღაური (თანხა) შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ფორმით; მყარი თანხით, რომელიც შეიძლება გადახდილ იქნეს პერიოდულად გარკვეულ ვადებში, ანდა ერთდროულად; ლიზინგის მიმღების იმ წილის განსაზღვრით, რომელსაც იგი მიიღებს სალიზინგო ქონების გამოყენების შედეგად პროდუქციის, ნაყოფის ან შემოსავლის სახით; ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღების მიერ გადაცემული ქონების გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების სახით. ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის გადახდის სხვადასხვა ფორმას, კერძოდ, სალიზინგო დეპოზიტით და ა. შ.

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაცემული ქონების მოვლის პირობებს. მაგალითად, ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება გაითვალის¬წინონ ლიზინგის მიმღების ვალდებულება გადაცემულ ქონებას გაუკეთოს კაპიტალური რემონტი. თუ ხელშეკრულებით ასეთი რამ არ არის გათვალისწი¬ნებული, ლიზინგის მიმღებმა ქონებას უნდა გაუკეთოს მიმდინარე რემონტი და დააბრუნოს იგი ნორმალური ცვეთის პირობებში. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სალიზინგო ქონების დაზღვევა.

<u>ლიზინგის ხელშეკრულების ობიექტი</u>

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკაა, რომ მისი მონაწილენი თავიანთი ქცევით ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო ერთმანეთზე, არამედ გარკვეულ მატერიალურ სიკეთეზე. პირველ შემთხვევაში, როცა ურთიერთობის მონაწილენი ერთმანეთზე ახდენენ ზემოქმედებას, საქმე გვაქვს ამ ურთიერთობის შინაარსთან, ხოლო მეორე შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ამ ურთიერთობის

ობიექტი[30]. სამოქალაქოსამართლებრივ ობიექტად განიხილება ყველაფერი ის, რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთი- ერთობათა ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. აღნიშნული განმარტება საკმაოდ მრავლისმომცველია და ბუნებრივია მოიცავს ზოგადი ხასიათის განმარტებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია სამოქალაქო ბრუნვაში არსებული განუსაზღვრელი ქონებისაკენ.

საინტერესოა ოტავას კონვენციის მიერ დეკლარირებული ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეფინიციის განმარტება. აღნიშნული სამართლებრივი აქტი, ქონების ცნებაში აერთიანებს როგორც უძრავ, ასევე, მოძრავ ობიექტებს, იმ დათქმის გათვალისწინებით, რომ მათი გამოყენება დაეფუძნება სამეწარმეო, სავაჭრო ან პროფესიულ მიზნებს. ჩამონათვალი საკმაოდ მრავლისმომცველია და გარდა ზემოთ დასახელებული საგნებისა, აერთიანებს როგორც მცენარეებს, ასევე, ჯერ კიდევ, არდაბადებულ ცხოველებსაც. აღნიშნული სამართლებრივი რეგულირება საკმაოდ ბუნდოვანია, ვინაიდან ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი ამორტიზაციის გათვალისწინებაა. მისი თავისებურება სწორედ ის არის, რომ გადაცემული საგანი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ინარჩუნებს არსებულ თვისებებს და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით უბრუნდება ლიზინგის გამცემს ან/და გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში.

თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა დამოუკიდებლად ადგენს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტთა ჩამონათვალს. შედარებისათვის შეიძლება დავასახელოთ ბე- ლორუსიის კანონმდებლობა, რომელიც აღნიშნული მიზნით მიწის ნაკვეთისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას დაუშვებლად მიიჩნევს. საგულისხმოა, რუსეთის კანონმდებლობის დანაწესი. იგი უპირველეს ყოვლისა, კრძალავს საწარმოს უკუქცევით და არამიმოქცევად აქტივებზე

[30]კობახიძეა ვ., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, გვ. 92.

ლიზინგის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ მატერიალური ე.ი. საგნობრივი ფორმა.

ქართულ კანონმდებლობაში, 2011 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე ლიზინგის საგნის განსაკუთრებული განმარტება არ ხდებოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ წინამდებარე ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის მაგალითზე არც თუ ისე დიდი მოთხოვნით ხასიათდებოდა. დღეს მოქმედი რედაქციით, საგნის ჩამონათვალი სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მეოთხე ნაწილშია მოქცეული და ცნების ფარგლებში განიხილება.

საგულისხმოა, რომ ახალი საკანონმდებლო ინიციატივა საგნის განსაზღვრისას იზიარებს ოტავას კონვენციის რეგლამენტაციას. კერძოდ, კანონმა იმპერატიულად დაადგინა იმ ობიექტთა ჩამონათვალი, რომელიც არ შეიძლება იყოს ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი. რა მიზნით აიკრძალა ფულის, ფასიანი ქაღალდების, წილისა და პაის გამოყენება ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის კონტექსტში? აღნიშნულის უპირველესი მიზეზი ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნების თვისებებშია, ვინაიდან გადაცემული ქონება ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში ინარჩუნებს გადაცემის დროისათვის არსებულ თვისებებს და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით ან ბრუნდება ან/და გადადის ლიზინგის მიმღების საკუთრებაში. ფული, ფასიანი ქაღალდი და პაი კი, მიმოქცევადი ფინანსური ინსტიტუტებია, რაც ნიშნავს, რომ მათი ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით გამოყენება შეუძლებელია, მათი თვისებები არ იძლევიან წინამდებარე ინსტიტუტის ფარგლებში განხილვის შესაძლებლობას, მათ გააჩნიათ სხვა თავისებურებანი და საჭიროებენ ლიზინგის ხელშეკრულე-ბისაგან განსხვავებულ სამართლებრივ რეგულირებას.

საყურადღებოა, სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება. აღნიშნული მუხლის თანახმად, ლიზინგის საგანი შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც ცალკე უფლების ობიექტი იმ შემთხვევაში, თუ იგი გახდება სხვა ნივთის ან არამატერიალური ქონებრივი

სიკეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული მუხლის კომენტირებისას, მნიშვნელოვან გარემოებას ქმნის წინამდებარე მუხლის ფორმულირებასთან დაკავშირებული ბუნდოვანება. კერძოდ, ქართველი კანონმდებელი განმარტებას მხოლოდ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე აკეთებს, ხოლო ცალკე უფლების ობიექტთან დაკავშირებული განმარტებები რეგულირების გარეშეა დატოვებული. სამომავლოდ, პრაქტიკაში წამოჭრილი ბუნდოვანი საკითხების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესი იქნება, თუ განხილულ მუხლს დაემატება მითითება, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ლიზინგის საგანი სხვა უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილი.

<u>ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა.</u>

ლიზინგის ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება, პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც მასში მკვეთრადაა გამოხატული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და ავტონომიის პრინციპიდან. ლიზინგის გამცემი ვალდებულია უზრუნველყოს ლიზინგის მიმღებისათვის ქონების გადაცემა სარგებლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით. აქ იგულისხმება ქონების მიწოდების წესი, დრო და ადგილი. სამოქალაქო კოდექსიში პირდაპირაა მითითებული, რომ ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებს მიღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის. ამ შემთხვევაში გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისი წესები.

გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულება რეგისტრაციაში გაატაროს შესაბამის საჯარო რეესტრში. თუ ლიზინგის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული შესაბამის საჯარო რეესტრში, ეს გარემოება არ წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

ლიზინგის საგანი ცალკე უფლების ობიექტია და მიუხედავად იმისა, როგორ იქნება დაკავშირებული იგი სხვა უძრავ ან მოძრავ ნივთთან, გამცემის საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე ძალაში რჩება ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად მიმღების საკუთრებაში ლიზინგის საგნის გადასვლის

მომენტამდე. გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები ან მათი ნაწილი გადასცეს მესამე პირს. ამასთან, ამ უფლებების გადაცემა არ ათავისუფლებს გამცემს ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებისაგან და არ ცვლის ლიზინგის ხელშეკრულების არსს. მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება. ლიზინგის ხელშეკრულების მოშლამდე გამცემი ვალდებულია თავის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეტკობინება ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის შესახებ გაუგზავნოს მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მიმღების ბოლო ცნობილ მისამართზე.

ამ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ვალდებულობა, რომლის შესრულებლობის გამოც გამცემი აპირებს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლას, და ვადა, რომელიც მიმღებს ეძლევა ვალდებულობის შესასრულებლად. ეს ვადა არ უნდა იყოს 15 დღეზე ნაკლები. თუ ვალდებულება შესრულდება გამცემის მიერ განსაზღვრულ დროში, ლიზინგის ხელშეკრულება არ მოიშლება.

გამცემს უფლება აქვს არ განუსაზღვროს მიმღებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, თუ აშკარაა, რომ:

ა)მიმღებს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება;

ბ)ლიზინგის საგანს მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე ემუქრება;

გ)ლიზინგის საგნის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე.

განცემს უფლება აქვს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლისთანავე დაიბრუნოს ლიზინგის საგანი. მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს მიმღებს მოსთხოვოს ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხის გადახდა და გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ამ მუხლის შესაბამისად ლიზინგის საგანზე მფლობე-

ლობისა და სარგებლობისა და სარგებლობის უფლებების მოპოვების მომენტი-სათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასისა დ აიმ თანხის გამოკლებით,რომელიც მიიღება უკვე გადაიხადა საზღაურის სახით. თუ ასეთი გაანაგარიშების შედეგად მიიღება დადებითი რიცხვი, მიმღები ვალდებულია გადაუხადოს გამცემს ამ რიცხვის შესაბამისი თანხა, ხოლო თუ მიიიღება უარყოფითი რიცხვი, გამცემი ვალდებულია გადაუხადოს მიმღებს ამ რიცხვის დადებითი ეკვივალენტის შესაბამისი თანხა. ლიზინგის საგნის საბაზრო ფასის განსაზღვრისას სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს გამცემის მიერ ლიზინგით გადაცემული ლიზინგის საგნის გაყიდვის ან ლიზინგის საგნის განმეორებითი ლიზინგით გადაცემის ფასი და პირობები.

<u>მიმღების უფლება მოვალეობები</u>

მიმღებს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები მესამე პირს გადასცეს მხოლოდ გამცემის წერილობითი თანხმობით. მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღების მომენტიდან მთელი პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის დაზიანებაზე ან დაღუპვაზე გადადის მიმღებზე. თუ მიმღების თანხმობის გარეშე ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით მიმღებს მიადგა ზიანი ანა მხარეების მიერ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ლიზინგის მიმღებს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც მას მიადგა გამცემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევით ლიზინგის საგნის დაბრუნებისას. ამასთან, მიმღებს არა აქვს უფლება მოითხოვოს თავის მფლობელობაში ლიზინგის საგნის აღდგენა.

<u>მიმღების უფლებები ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ</u>

ლიზინგის საგნის გამყიდველის ყველა ვალდებულება განსაზღვრული გამცემისა და ლიზინგის საგნის ggამყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულობით, აგრეთვე ლიზინგის საგნის გამყიდველის მიერ გამცემისათვის მიცემული ყველა სახის გარანტია სრულდება მიმღების სასარგებლოდ ისე, თითქოს მიმღები იყოს ნასყიდობის ხელშეკრულობის მხარე, თუ ლიზინგის

ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამცემი ლიზინგის საგნის გამყიდველთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ასლსს გადასცემს მიმღებს ან სხვა ფორმით აცნობებს ამ ხელშეკრულებით განსაზღრულ ვალდებულებებსა და გარანტიებს მანამ, სანამ მიმღები ვალდებული გახდება ლიზინგის ხელშეკრულებით.

<u>მიმღების ვალდებულებები გამცემის მიერ კონტროლის განხორციელებისას</u>

გამცემს უფლება აქვს მიმღებს წერილობით მოსთხოვოს კონტროლის განსა-ხორციელებლად საჭირო იმფორმაციის მიწოდება, ხოლო მიმღები ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლიზინგი ითვალისწინებს მასში სამი მხარის მონაწილეობას:

- ქონების მწარმოებელი (მომწოდებელი), რომელიც ქონების გამყიდველის როლშია და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

- ლიზინგგამცემი, ანუ ქონების მესაკუთრე, რომელიც იძლევა ამ ქონებას სალიზინგო ხელშეკრულებების საფუძველზე. ისინი შეიძლება იყვნენ ბანკები, სალიზინგო კომპანიები ან საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ სალიზინგო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო სახსრები.

- ლიზინგმიმღები, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს იურიდიული პირი.

ქონების მომწოდებელი, იგი იურიდიული ან ფიზიკური პირია, რომელიც ლიზინგმიმღების მიერ არჩეული ქონების მესაკუთრეა და რომელიც ლიზინგ-გამცემთან აღნიშნულ ქონებაზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას აფორმებს. ქონების გამყიდველის ფუნქციებს სალიზინგო მომსახურებათა ბაზარზე უფრო ხშირად ქონების უშუალო დამამზადებლები ასრულებენ, მაგრამ შეიძლება იყვნენ ფირმებიც, რომლებიც მანქანების და მოწყობილობების საბითუმო ვაჭრობით არიან დაკავებულნი.

ლიზინგ გამცემი იურიდიული პირია, რომელიც ქონების მწარმოებლისაგან შეიძენს ქონებას და სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს მას ლიზინგმიმღებს. იზინგგამცემი შეიძლება იყოს მეწარმედ დარეგისტრირებული

ფიზიკური პირი, მაგრამ ფაქტობრივად ასე იშვიათად ხდება. სალიზინგო მომსახურებათა ბაზაზე ლიზინგგამცემის ფუნქციებს ახორციელებენ სპეციალური კომერციული ორგანიზაციები – სააქციო საზოგადოებებად ან სამეურნეო ამხანაგობებად წარმოდგენილი სალიზინგო კომპანიები. იზინგგამცემად შეიძლება ბანკი და სხავა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება წარმოგვიდგეს, რომელსაც გააჩნია ამ საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო იურიდიული საფუძველი–ლიცენზია.

ლიზინგმიმღები იურიდიული პირი ან მეწარმედ დარეგისტრირებული ფიზიკური პირია,რომელიც სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს სალიზინგო ქონებას დროებით მფლობელობასა და გამოყენებაში, სალიზინგო ქირის საფასურად.

ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები ასევე მიეკუთვნება სალიზინგო მომსახურებათა ბაზრის მონაწილეებს, რაგდან ლიზინგგამცემს უზრუნველყოფენ ქონების შესაძენად საჭირო სახსრებით.

საბროკერო ფირმები ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სალიზინგო ომსახურებათა ბაზარზე. მათი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა პარტნიორთა ძიება, ბაზრის სხვა მონაწილეთა საინფორმაციო უზრუნველყოფა,საშუამავლო ფუნქციების შესრულება.

ლიზინგის ხელშეკრულების საგნის საკითხს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს. 2018 წლის ცვლილებების თანახმად სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის შინაარსიდა ჩანს, რომ თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ:

ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება;

ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.";

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი და ლიზინგის დაფინანსების თანხა (ლიზინგის საზღაურში შემავალი ყველა დამატებითი გადასახდელისა და ხარჯის გარეშე) 100 000 (ასი ათას) ლარზე ნაკლებია, ლიზინგის გამცემის მიერ ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.[31]".

თუ ლიზინგის გამცემი მეწარმე სუბიექტია, ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. ამასთან, ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაიცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწი ნებულიმოთხოვნები სესხის საკომისიოსთან, ფინანსურ ხარჯთან, პირგასამტეხლოსთან და სხვა სანქციასთან დაკავშირებით.[32]

3.2. საქართველოსა და უცხო ქვეყნებში მოქმედი სამართლის ნორმები ლიზინგის ხელშეკრულებასთან მიმართებაში

საქართველოში სალიზინგო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ და საგადასახადო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან თავი მეოთხე - ,,ლიზინგი" – ხეთი მუხლი 576-580 დათმობილი აქვს ლიზინგს, თუმცა იქვე განსაზღვრულია, რომ დანარჩენი საკითხების რეგულირება მოხდება ქირავნობის მარეგულირებელი მუხლების შესაბამისად. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სალიზინგო საქმიანობა ბევრ ისეთ ნიუანსს შეაცავს, რომელიც ქირავნობას საერთოდ არ

[31] საქართველოს კანონი- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273979 (21.07.2018)

[32] PwC საქართველო - საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები 13 სექტემბერი 2018 https://www.pwc.com/ge/en/services/assets/Tax_Law_Brief_GEO_13_September.pdf

ახასიათებს. (თუნდაც ის, რომ ფინანსური ლიზინგის შემთხვევაში ხდება ლიზინ-გის ობიექტის საბოლოო გამოსყიდვა და საკუთრებაში გადაცემა).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ლიზინგს დათმობილი აქვს ერთი მუხლი (მუხლი 21 – ლიზინგი (ფინანსური იჯარა)), რომელშიც განმარტებულია, თუ როდის ითვლება ლიზინგი ფინანსურ იჯარად. ამისათვის მასში ჩამოთ-ვლილია 4 პირობა:

1) იჯარის ვადის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია ქონების საკუთრების უფლების გადაცემა ან იჯარის მიმღებს უფლება ექნება შეიძინოს ქონება ფიქსირებული ან იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასით;

2) იჯარის ვადა აღემატება ძირითად საშუალებათა ეკონომიკური სამსახურის ვადის 75%-ს;

3) იჯარით აღებული ქონების მოსალოდნელი ნარჩენი, ღირებულება იჯარის ვადის დასრულებისას ამ ვადის დასაწყისში ქონების საბაზრო ღირებულების 20%-ზე ნაკლებია.

4) მინიმალური საიჯარო გადასახდელის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება ლიზინგის (ფინანსური იჯარის) მთელი პერიოდისათვის ქონების საბაზრო ღირებულების 90%-ია ან აღემატება მას. თუ საქართველოს კანონმდებ-ლობაში დაფიქსირებული ფინანსური ლიზინგის ამ პირობებს სხვა ქვეყნების პირობებს შევადარებთ, დავინახავთ მნიშვნელოვან განსხვავებებს.

მაგალითად, ამერიკის კანონმდებლობის საფუძველზე ფინანსურ ლიზინგად ითვლება ის გარიგება, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდი არ აღემატება ლიზინგის ობიექტის სასიცოცხლო ციკლის 80%-ს, ლიზინგით გაცემულ ქონებაში ლიზინგგამცემმა უნდა ჩადოს მისი ღირებულების არანაკლებ 20%-ის ტოლი ინვესტიცია, ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება ლიზინგის ობიექტი გამოისყიდოს მის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასში, ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ ობიექტის ნარჩენი ღირებულება უნდა შეადგენდეს მისი საწყისი ღირებულების არანაკლებ 20%-ს, ლიზინგის გამცემი

მთელ სალიზინგო პერიოდში უნდა იღებდეს დადებით ფულის წმინდა ნაკადებს და მოგებას[33].

როგორც ვხედავთ, განსხვავებები საკმაოდ დიდია. მაგალითად, საქართველოში ფინანსური ლიზინგის ვადა უნდა აღემატებოდეს ლიზინგის ობიექტის ეკონომიკური სამსახურის ვადის 75%, აშშ-ში მისი საციცოცხლო პერიოდის 80%-ს, აშშ-ში ფინანსური ლიზინგის გამცემმა დამატებით უნდა განხორციელოს მისი ღირებულების 20% ივესტიცია, საქართველოში ლიზინგის გამცემს ეს აღარ მოეთხოვება და ა.შ. იაპონიაში ლიზინგის კანონმდებლობა ფინანსურ ლიზინგს იხილავს, როგორც გარიგებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამ მოთხოვნა[34]ს:

1) ლიზინგის ვადა მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული;

2) სალიზინგო გადასახდელის საერთო თანხა ტოლი, ან თითქმის ტოლი უნდა იყოს ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის ობიექტზე გაწეული დანახარჯების (შეძენა, ტრანსპორტირება და ა.შ);

3) ლიზინგის ხელშეკრულების მთელ პერიოდში ხელშეკრულების გაუქმება არ უნდა მოხდეს. ეს მოთხოვნებიც არ ემთხვევა საქართველოს მოთხოვნებს ფინანსური ლიზინგის მიმართ.

ინგლისში კონტრაქტი ითვლება ლიზინგად, თუ[35]:

ა) მისი ვადა არ არის სალიზინგო ქონების ექსპლუატაციის ვადის 75%-ზე ნაკლები;

ბ) მასში გათვალისწინებულია კონტრაქტის ვადის განმავლობაში ლიზინგის ობიექტის ღირებულების სრული გადახდა;

გ) მასში გათვალისწინებულია შეღავათიან პირობებში ლიზინგის განახლების შესაძლებლობა და ა.შ.

ბელგიაში კონტრაქტი ითვლება ლიზინგურად, თუ ლიზინგით მიღებული ქონება მხოლოდ პროფესიული მიზნებსთვისაა განკუთვნილი, თუ ლიზინგის ვადა არ აღემატება ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციის ვადას, თუ ისეთი

---

[33] თ. ბერიშვილი, ,,საერთაშორისო ლიზინგის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2010, გვ. 30

[34] ვ. კიკუტაძე, ,,ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა)", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2008, გვ. 29-33

[35] იქვე, გვ.34

გადასახდელია დაწესებული, რომელიც ლიზინგის გამცემს აუნაზღაურებს ლიზინგის ობიექტზე გაწეულ ხარჯებს, თუ კონტრაქტში გათვალისწინებულია ლიზინგის მიმღების უფლება ლიზინგით აღებული ობიექტის საბოლოოდ გამოსყიდვის შესახებ და ა.შ[36].

მეტად განსხვავებულია ლიზინგისადმი მოთხოვნები დსთ-ს ქვეყნებშიც. ამ ქვეყნებს შორის ლიზინგის კანონმდებლობა შექმნილია რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, მოლდავეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში და საქართველოში. მათგან ლიზინგური ურთიერთობები განსაკუთრებით განვითრებულია რუსეთში, უკრაინაში და ბელარუსში. თუმცა ამ ქვეყნებშიც კი ლიზინგის შესახებ ერთადაიგივე ნორმატიული დებულებები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, ბელორუსიაში ლიზინგის ობიექტი შეიძლება იყოს არამატარიალური აქტივები, რომლებიც რუსეთის და საქართველოს კანონმდებლობით არ შედის სალიზინგო ობიექტის ჩამონათვალში, უზბეკეთში და საქართველოში ქონება ლიზინგით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობისათვის, აზერბაიჯანში არ შიძლება ერთი და იგივე პირი იყოს ლიზინგის ობიექტის წარმოებელი და ლიზინგგამცემი, რუსეთის და საქართველოს სალიზინგო კანონმდებლობით ეს დასაშვებია[37].

აღნიშვნის ღირსია ის, რომ ლიზინგური ურთიერთობა მოიცავს როგორც იურიდიულ, ისე ეკონომიკურ ურთიერთობებს. ქვეყნების ერთი ნაწილი მხარს უჭერს იურიდიულ ურთიერთობებს და აქედან გამომდინარე, ლიზინგის ობიექტის მიმღების მესაკუთრედ გახდომას, მეორე ნაწილი კი ეკონომიკურ ურთიერთობებს და ლიზინგის მიმღების ეკონომიკურ მესაკუთრედ (ეკონომიკურ მოსარგებლედ) გახდომას.

ქნეყნები, რომლებიც ლიზინგის მიმღების იურიდიულ მესაკუთრის სტატუსს უჭერენ მხარს რომანული სამართლის ქვეყნებად იწოდებიან. ის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური მოსარგებლეს სტატუსს უჭერენ მხარს _

---

[36] თ. ბერიშვილი, ,,საერთაშორისო ლიზინგის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2010, გვ. 37

[37] თ. ბერიშვილი, ,,საერთაშორისო ლიზინგის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2010, გვ. 37

ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებად. ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებს მიეკუთვნებიან დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ირლანდია, შვეიცარია, გერმანია, ნიდერლანდები, და სხვები. მათი სალიზინგო კანონმდებლობა ლიზინგის ობიექტის ეკონომიკური ფლობის (ეკონომიკური სარგებლის) ფრინციპზეა აგებული. ამ აზრს იზიარებს იაპონიაც. სხვათაშორის ეს აზრია გატარებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებშიც[38].

რომანული სამართლის ქვეყნების რიცხვშია საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვები. ამ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით ლიზინგში მთავარია ის, რომ მისი მიმღები საბოლოო ჯამში უნდა გახდეს ლიზინგის ობიექტის მფლობელი, იმ ფასში, რომელი ფასიც ლიზინგის ხელშეკრულებაში დაფიქსირდა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლიზინგად სხვადასხვა ურთიერთობები მიიჩნევა. საქართველოს კანონით ,,სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ" ლიზინგი არის ლიზინგის საგნის გამცემის მიერ ნასყიდობის ხელშეკ-რულების საფუძველზე ლიზინგის საგნის მესაკუთრისაგან ან მწარმოებლისაგან ლიზინგის საგნის შეძენა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით. კანონის ამ შინაარსით საქართველო ემხრობა მიმღების ხელში ლიზინგის ობიექტის იურიდიულ საკუთრებაში გადასვლას სალიზინგო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ[39].

ამავე დროს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით ლიზინგის (ფინანსური იჯარის) ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონება ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნდა აისახოს მისი მიმღების ბალანსზე, რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს ამ ქონებასთან დაკავშირებული საამორტიზაციო და ძირითადი საშუალებების რემონტის გამოქვითვის ხარჯები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დებულებით საქართველო იცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნას, რომელიც როგორც ავღნიშნეთ, აგებულია არა

[38] ვ. კიკუტაძე, ,,ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა)", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2008, გვ. 39-45
[39] ლ. ჭანტურია ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი III, ტ. I, თბ., 2001, გვ. 147-151;

ლიზინგის ობიექტის იურიდიული ფლობის, არამედ ეკონომიკური ფლობის პრინციპზე.

საბოლოოდ დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ლიზინგის კანონმდებლობა ცალსახად არ იცავს ლიზინგის ობიექტის რომელიმე ერთ იურიდიულ ან ეკონომიკურ – ფლობის პრინციპს. ერთ საკანონმდებლო აქტში, კერძოდ კანონში ,,სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ" იგი იურიდიული ფლობის მომხრეა, ხოლო საგადასახადო კოდექსში (მუხლი 21-ლიზიგი (ფინანსური იჯარა)) _ ეკონომიკური ფლობის მომხრე.

აუცილებელია სამოქალაქო კანონში საქართველომ ასახოს ლიზინგის სფეროში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, გაეროს კომისია საერთაშორისო კომერციული კანონმდებლობის სფეროში და კერძო კანონმდებლობის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008 წელს 60–ზე მეტ ქვეყანასთან თანამშრომლობდნენ ლიზინგის ტიპური კანონის მიღების საკითხებზე. ტიპური კანონის დებულებათა უმეტესობა ახალ აქცენტებს აკეთებს ლიზინგის ეფექტურ განვითარებაზე და უზრუნველყოფს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ნაცნობია მულტინაციონალური კომპანიებისათვის და მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს. ლიზინგის განვითარების შემდგომი ეტაპები მოიცავს ინსტიტუციონალურ გაძლიერებასა და ბიზნესის განვითარებას აღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე.

რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობას, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ, USAID-მა და სხვა მნიშვნელოვანმა მონაწილე მხარებმა დაიწყეს საკმაოდ სერიოზულ ამოცანაზე მუშაობა, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის ერთობლივ ინიციატივას და გულისხმობს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებას. აღნიშნული არ მოიცავს ბიუჯეტში შემავალი გადასახადების მნიშვნელოვნად შემცირებას, თუმცა ქმნის საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს ლიზინგის გასავითარებლად და დამატებითი შემოსავლების შესაქმნელად. ცვლილებების მიზანია საგადასახადო რეგულაციები გახდეს უფრო მარტივი, მკაფიოდ თანაბარუფლებიანი და ეკონომიკური რეალობის ხელშემწყობი, როგორც

ლიზინგის კომპანიებისათვის, ისე მოიჯარეებისათვის. აღსანიშნავია, რომ ლიზინგის კომპანიების მიერ აპარატურაში ინვესტირებული თითოეული ლარი წარმოქმნის 18 ცენტ დამატებითი ღირებულების გადასახადს, ამას ემატება მოგების გადასახადები, რომელთაც ბიზნეს კომპანიები (როგორც მოიჯარეები, ისე იჯარის მესაკუთრეები) იხდიან ბიუჯეტში, ახალი სამუშაო ადგილების შედეგად დაქირავებული პირებისმიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადები და ბოლოს, ქონების გადასახადი.

საქართველოს სასწრაფოდ ესაჭიროება სალიზინგო ურთიერთობების დახვეწა, რომელიც გაზრდის მეწარმეების კაპიტალზე ხელმისაწვდომობას და შესაძლებლობას მისცემს მათ, ხორცი შეასხან საკუთარ ბიზნეს-გეგმებსა და ჩანაფიქრებს. რაც მთავარია, სახელმწიფოს/მთავრობას სჭირდება ლიზინგი, რათა გააუმჯობესოს საკუთარი ფისკალური მდგომარეობა და უზრუნველყოს მოქალაქეთა კეთილდღეობა. ეს არის სწორედ ის ვითარება, სადაც ყველა მხარე მოგებული რჩება.

სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ხშირად აღიარებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკისათვის ლიზინგი და შესაბამისად მხარს უჭერენ ლიზინგის ლიბერალურ და პროაქტიულ რეგულირებას. მთელ მსოფლიოში ყველა საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ლიზინგი მთავარ პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადა. უფრო მეტიც, მსოფლიოს უდიდესი კორპორაციები ავითარებენ ბიზნესს და ფართოვდებიან სწორედ ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებობს ლიზინგის ინდუსტრიის განვითარების ხელსაყრელი გარემო.

საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, მისმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, თვითონ უნდა გახსნან ლიზინგური ფირმები, რომლებიც სწორედ მომსახურებაში საფასო შეღავათებით კონკურენციას გაუწევენ კერძო სალიზინგო კომპანიებს. აგრეთვე, სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უნდა დაარეგულიროს ამ სფეროში მათი თვითნებური საქმიანობა, ისე როგორც ეს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებშია. კერძოდ, უნდა დაიწყოს ბიუჯეტიდან სალიზინგო პროექტების დაფინანსება, დაწესდეს სალიზინგო გადასახდელის (იჯარის ქირის ზედა

და ქვედა) ზღვარი, რომელიც კლიენტს დაიცავს არარეალური სალიზინგო გადახდისაგან.

ჩვენნაირ ქვეყანაში, ბიზნესი (მით უფრო მცირე და საშუალო) ვერ განვითარდება ლიზინგის გარეშე, ხოლო ბიზნესის განვითარების გარეშე კი საერთოდ წარმოუდგენელია თვითონ ქვეყანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. საკუთრივ საქართველოს ბიუჯეტს ამის ფინანსური შესაძლებლობა შეიძლება არ აქვს, მაგრამ ქვეყანაში შემოდის იმდენი გრანტი და კრედიტი, რამდენიც ერთად არ შემოსულა ჰონკონგში, სინგაპურსა და კორეაში, რომელთაც ეს თანხები სწორედ ამ მიზნისათვის გამოიყენეს და ამ გზით ააყვავეს თავიანთი ქვეყნები. ამ ქვეყნების საწარმოთა 80% იმ წლებში მხოლოდ ლიზინგით აღებულ ტექნიკას იყენებდა. მათ მაგალითზე უნდა მოვახდინოთ ჩვენს ქვეყანაში ლიზინგის ბაზრის ხელშეწყობა.

ამრიგად, ჯანმრთელი სალიზინგო ბაზარი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მთლიანი შიდა პროდუქტის მიღებას და კერძო ბიზნესის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაფართოებას.

დასკვნა

ლიზინგი არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ბიზნესისათვის ძირითადი საშუალებების შესაძენად. ამასთანავე, მას მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. მცირე მეწარმეებს, რომელთაც კარგი ბიზნეს იდეები გააჩნიათ, შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება და შეიძინონ მანქანა-დანადგარები ამ იდეების განსახორციელებლად. ამ გზით, ისინი წარმატებას აღწევენ ბიზნესში და, რაც მთავარია, შექმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე აისახება. ლიზინგის მეშვეობით მსხვილი კომპანიები კიდევ უფრო გააფართოებენ ბიზნესსა და ახალ ინვესტიციებს, განახორციელებენ დაზგადანადგარებისა და სხვა ძირითად საშუალებების შესაძენად ისე, რომ ამისათვის მათ არ მოუწევთ მსხვილი დაფინანსების მოსაპოვებლად ბრძოლა, ან ახალი აქციების გამოშვება საფონდო ბირჟაზე.

თავისთავად ძალიან კარგია ის, რომ საქართველოში ლიზინგი არსებობს. სულ მცირე სამი კომპანია სთავაზობს მომსახურებას საკუთარ კლიენტებს. თუმცა, დღესდღეობით, მოქმედი კანონი მათ საქმიანობას სახარბიელო მდგომარეობაში არ აყენებს, რის გამოც არსებული მოთამაშეები იძულებულნი არიან იყვნენ უაღრესად კონსერვატიულები. თუ გვსურს, რომ ლიზინგი მომგებიან საქმიანობად იქცეს სალიზინგო კომპანიებისთვის და ამავე დროს წაახალისოს ქართული ბიზნესი, აუცილებელია გამოიყენონ ლიზინგი მათ გამოიყენონ დაფინანსების ალტერნატიულ მექანიზმად.

<u>მიზანშეწონილად მიგვაჩნია:</u>

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აისახოს ლიზინგის სფეროში არსებული მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა. ისეთი ორგანიზაციები როგორიცაა მსოფლიო ბანკი, გაეროს კომისია საერთაშორისო კომერციული კანონმდებლობის სფეროში და კერძო კანონმდებლობის საერთაშორისო ინსტიტუტი, ვინაიდან ტიპური კანონის დებულებათა უმეტესობა აქცენტებს აკეთებს ლიზინგის ეფექტიან განვითარებაზე და უზრუნველყოფს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც

ნაცნობია მულტინაციონალური კომპანიებისათვის და რაც ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

- იმის მიუხედავად, რომ საქართველოში მიღებულია მრავალი ცვლილება სალიზინგო ურთიერთობების დარეგულირებისათვის ლიზინგი სათანადოდ მაინც არაა განვითარებული. საკრედიტო რესურსი, როგორც ლიზინგის ალტერნატივა, საკმაოდ ძვირია, რის გამოც მასზე ხელი არ მიუწვდებათ არა მხოლოდ მცირე და საშუალო სიდიდის ფირმების, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მსხვილ ფირმებსაც კი.
- მიმდინარე პერიოდში ლიზნგისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 50% ის ოდენობით. ასევე, გავრცელდა სესხის თავით გათვალისწინებული ზღვრული ლიმიტები პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უმჯობესი იქნებოდა თავად საბაზრო ურთიერთობებით დარეგულირებულიყო და კანონმდებლის მხირდან ჩარევა არ მომხდარიყო. ეს კი ლიზინგის განვითარებას ხელს შეუწყობდა.
- ამავე დროს სესხის რეგულაციებიც უნდა შემსუბუქდეს, რომ სესხის გამცემმა სუბიექტებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა არ შეიცვალონ პროფილი და მთლიანად სალიზინგო პორტფელზე არ გადავიდნენ.
- საქართველოს სასწრაფოდ ესაჭიროება სალიზინგო ურთიერთობების დახვეწა, რომელიც გაზრდის მეწარმეების კაპიტალზე ხელმისაწვდომობას და შესაძლებლობას მისცემს მათ, ხორცი შეასხან საკუთარ ბიზნეს-გეგმებსა და ჩანაფიქრებს. რაც მთავარია, სახელმწიფოს/მთავრობას სჭირდება ლიზინგი, რათა გააუმჯობესოს საკუთარი ფისკალური მდგომარეობა და უზრუნველყოს მოქალაქეთა კეთილდღეობა. ეს არის სწორედ ის ვითარება, სადაც ყველა მხარე მოგებული რჩება.

სალიზინგო საქმიანობა არის სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე. ამასთან, თუ სამეწარმეო საქმიანობის სხვა სახეებში საქართველოში უკვე დიდი ხანია არსებობს საკმაოდ მაღალი კონკურენცია, ლიზინგის ბაზარი არის ერთადერთი, სადაც მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას.

საზღვარგარეთ ლიზინგი ძალზე განვითარებულია. ლიზინგის საშუალებით მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 900 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია იდება ახალ დანადგარებში, რომელიც მსოფლიო საწარმოო საშუალებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ამჟამად მსოფლიოში სალიზინგო ოპერაციების ძირითადი მასა კონცენტრირებულია აშშ-ში, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში.

სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ხშირად აღიარებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკისათვის ლიზინგი და შესაბამისად მხარს უჭერენ ლიზინგის ლიბერალურ და პროაქტიულ რეგულირებას. მთელ მსოფლიოში ყველა საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ლიზინგი მთავარ პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადა. უფრო მეტიც, მსოფლიოს უდიდესი კორპორაციები ავითარებენ ბიზნესს და ფართოვდებიან სწორედ ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებობს ლიზინგის ინდუსტრიის განვითარების ხელსაყრელი გარემო.

საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, მისმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, თვითონ უნდა გახსნან ლიზინგური ფირმები, რომლებიც სწორედ მომსახურებაში საფასო შეღავათებით კონკურენციას გაუწევენ კერძო სალიზინგო კომპანიებს. აგრეთვე, სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უნდა დაარეგულიროს ამ სფეროში მათი თვითნებური საქმიანობა, ისე როგორც ეს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებშია. კერძოდ, უნდა დაიწყოს ბიუჯეტიდან სალიზინგო პროექტების დაფინანსება, დაწესდეს სალიზინგო გადასახდელის (იჯარის ქირის ზედა და ქვედა) ზღვარი, რომელიც კლიენტს დაიცავს არარეალური სალიზინგო გადახდისაგან.

ჩვენი აზრით, საერთოდ ბაზარს, მათ შორის ლიზინგის ბაზარს ფორმირების საწყის ეტაპზე, რომელზეც ამჟამად საქართველო იმყოფება, აქტიური სახელმწიფო ჩარევა და მხარდაჭერა სჭირდება, რამეთუ სხვაგვარად ის ვერ განვითარდება. ის ფაქტი, რომ საქართველოში 138 ლიზინგური ფირმაა დარეგისტრირებული და მათგან მხოლოდ 10% მუშაობს (უფრო ინტენსიურად კი სამი - ,,თიბისი ლიზინგი", ,,საქართველოს სალიზინგო კომპანია" და ,,სტანდარტლიზინგი") რაც ჩვენი მოსაზრების ჭეშმარიტებას ასაბუთებს.

ჩვენნაირ ქვეყანაში, ბიზნესი (მით უფრო მცირე და საშუალო) ვერ განვითარდება ლიზინგის გარეშე, ხოლო ბიზნესის განვითარების გარეშე კი საერთოდ წარმოუდგენელია თვითონ ქვეყანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. საკუთრივ საქართველოს ბიუჯეტს ამის ფინანსური შესაძლებლობა შეიძლება არ აქვს, მაგრამ ქვეყანაში შემოდის იმდენი გრანტი და კრედიტი, რამდენიც ერთად არ შემოსულა ჰონკონგში, სინგაპურსა და კორეაში, რომელთაც ეს თანხები სწორედ ამ მიზნისათვის გამოიყენეს და ამ გზით ააყვავეს თავიანთი ქვეყნები. ამ ქვეყნების საწარმოთა 80% იმ წლებში მხოლოდ ლიზინგით აღებულ ტექნიკას იყენებდა. მათ მაგალითზე უნდა მოვახდინოთ ჩვენს ქვეყანაში ლიზინ-გის ბაზრის ხელშეწყობა.

ამრიგად, ჯანმრთელი სალიზინგო ბაზარი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მთლიანი შიდა პროდუქტის მიღებას და კერძო ბიზნესის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაფართოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=101
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №18/04
3. 2019 წლის 5 თებერვალი ქ. თბილისი- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის დამტკიცების თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4473395?publication=0
4. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4273979?publication=0

სამეცნიერო ლიტერატურა

5. აჩუაშვილი ნუნუ საქართველოს ავიასაწარმოების სტრატეგიული მენეჯ-მენტის პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები. დისერტაცია. თბ. 2012
6. ბერიშვილი თ., ,,საერთაშორისო ლიზინგის მდგომარეობა და განვითარე-ბის პერსპექტივები", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2010,
7. ბერიშვილი ხ., საქართველოში ლიზინგის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009,
8. ბერიშვილი თ., ,,საერთაშორისო ლიზინგის მდგომარეობა და განვითარე-ბის პერსპექტივები", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2010
9. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები. თბ. 1963
10. კობახიძეა ვ., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001

11. კიკუტაძე ვ., ,,ლიზინგი (თეორია და პრაქქტიკა)", გამ. ,,უნივერსალი", თბ., 2008,
12. კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2008
13. ლიპარტელიანი ნ. ლიზინგი(თეორია და პრაქტიკა). თბ.2006
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. რედ. ლ. ჭანტურია. თბ.1999, 4.ტ.1
15. ჭანტურია ლ.,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი III, ტ. I, თბ., 2001
16. ჯანხოთელი შორენა, ლიზინგი // ალმანახი № 5, – [სამოქალაქო სამართალი], – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. – 1998.www.nplg.gov.ge
17. ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", 5/2000-4,
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1686-1580-2012.
19. ლიპარტელიანი ნ. ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა). თბ. 2006
20. Jorgensen St., `Contract as form,~ Scandinavian Studies in Law, Vol.10, 1966, p. 99.
21. Blum A. Brian.,`Contracts, examples and explanation,~ fourth edition, 2007, p.3
22. Magnus Ulrich, Global trade law, ,,Internarional business law of the United Nations and Unidroit Collection of Uncitral's and Unidroit's Conventions, model acts, Guides and principles'', European Law Publishers; 2004
23. Забавский Г.В. Экономическое регулирование лизинговых операции. Минскю2002
24. Кабатова Е. В. Лизинг: понятие, правовое регулирование, международная унификация. - Москва, 1991.
25. Хойер В. Как делать бизнес в Европе. М. «Прогресс». 1990.http://alldocs.ru/download/index.php?id=93